# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 22 ოქტომბერი 2008 №244 (3468) ფასი 50 თეთრი

# ლიგაში გაიგოლავეს



## თბილისში მარადონა ჩამოდისო



ორგანიზატორები გთავაზობენ: დიდი დიეგო, კლაუდიო კანიჯა, სერხიო გოიკოეჩეა, მატიას ალმეიდა, ხოსე ბორელი, გაბრიელ ამატო 10-დან 150 ლარამდე

# დღეს არჩევნები ყოფილა...

## ვინ გვეტყვის, თუ არ გვეტყვით?

### საქართველოს ძიუდოს ფედერაცია დღეს პრეზიდენტად კვლავ დილარ ხაბულიანს აირჩევს



წინა არჩევნებისგან განსხვავებით, დილარ ხაბულიანს დავით ხახალეიშვილი პრეზიდენტობას აღარ შეეცილება



## აკირემი გამოკესანდა

დინამოს გაბონელი ზესტაფონის გაბონელის გზას დაადგა

# რუსთავმა სუმიში ევრო ვერ იცეკვა

ფიბა-ევროპის თასი. I ეტაპი. საპასუხო მატჩი. გუშინ

## სუმიხიმპრომი 90:79 ენერჯი-ინვესტი

# აკირემი გამოკესანდა!



თბილისის „დინამოს" გაბონელი თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი საქართველოში კარგა ხანია, არ გამოჩენილა — მას ფეხის ტრავმა აწუხებდა და სამშობლოში მკურნალობდა, მაგრამ ეს მკურნალობა ძალიან გაიწელა.

როგორც შევიტყვეთ, აკირემი ბოლო დროს თავის კლუბს არც ეკონტაქტება და ჯერაც უცნობია, როდის დაბრუნდება საქართველოში.

„დინამოს" კიდევ ერთი გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო ამასწინათ იყო სამშობლოში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ითამაშა გაბონის ნაკრებში და როგორც ოვონო ამბობს, აკირემი მას არ შეხმიანებია და მისი ასავალ-დასავალი უცნობია...

ერთი კი ფაქტია: გაბონელები ძალიან უცნაურად მიდიან საქართველოდან — „ზესტაფონის" პოლ კესანი და ეტიენ ბიტოო რამდენიმე თვის წინ გაუჩინარდნენ. კესანმა ებრაული გუნდი მოძებნა, მაგრამ ვინაიდან იმერებთან კონტრაქტი აკავშირებს, განაცხადში ვერ შეჰყავთ.

კესანმა საქართველოში რასისზმის გამო აღარ ჩავალო, თუმც ეს თუ ფიფაში ვერ დაამტკიცა, სასჯელი არ ასცდება. როგორც კესანს და ბიტოოს, აკირემისაც მოქმედი კონტრაქტი აქვს ქართულ კლუბთან და ძნელად წარმოსადგენია, საქართველოს ჩემპიონმა მისი გაუჩინარება რეაგირების გარეშე დატოვოს.

**ნუგზარი ლოლაძე**

# მაურინიუს ქება ქეცბაიას



წლევანდელი ევროპული საკლუბო ფეხბურთის მთავარი აღმოჩენა, კვიპროსული „ანორთოსისი" დღეს „ინტერს" ეთამაშება „სან სიროზე". ჯგუფის ლიდერთა შეხვედრაა — დიახ, ამას მოესწრო თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი პატარა კლუბი, რომ „ინტერს" მისი ტოლ-სწორი ქულებით ხვდება.

„ნერაძურის" თავკაცი ჟოზე მაურინიუ ქართველ კოლეგას აქებს:

„მე ვუყურე „ანორთოსისის" თამაშებს და მის მთავარ მწვრთნელზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. მშვენიერი გუნდი ჰყავს".

**ილია ნანობაშვილი**



# დიეგო მარადონას ჯალაბი თბილისშიაო

დიეგო მარადონას წარმომადგენლები საორგანიზაციო საკითხებში, ხავიერ ბუსტამანტე და მარსელო ბანდელა გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ — იტყობინება ლეგენდარული არგენტინელის ჩამოყვანის ინიციატორი ნიკო პატარქალიშვილი.

პატარქალიშვილის თქმით, მარადონა დღეს 21.30 საათზე ამსტერდამის რეისით ჩამოვა თბილისში და მას სხვა არგენტინელი ვეტერანი ფეხბურთელები — კლაუდიო კანიჯა, სერხიო გოიკოეჩეა, მატიას ალმეიდა, ხოსე ბორელი, გაბრიელ ამატო და სხვებიც ჩამოჰყვებიან.

ორგანიზატორთა ცნობით, დელეგაცია სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდება, 25 ოქტომბერს კი ეროვნულ სტადიონზე მარადონა თავის მეგობრებთან ერთად ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებთან.

ამ შეხვედრაზე დასასწრები ბილეთები 10-დან 150 ლარამდე ეღირება.

პატარქალიშვილის თქმით, არგენტინელები თბილისში 27 ოქტომბრამდე დარჩებიან, თუმც მარადონამ შესაძლოა, უფრო ადრე დატოვოს აქაურობა.

**ლუკა თალაკვაძე**

# კილასონიამ სეზონის ბოლომდე მოაწერა

გუშინდელ „სარბიელში" რუსთავის „ოლიმპის" ახალ თავკაც ვარლამ კილასონიასთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც გვითხრა, კონტრაქტის თაობაზე ხვალ უნდა ვესაუბრო კლუბის ხელმძღვანელებსო.

გუშინ „მერანის" სტადიონზე კილასონიამ და მისმა თანაშემწემ არმაზ ჯელაძემ პირველად ავარჯიშეს „ოლიმპი". მერე კი კონტრაქტზეც მოაწერეს ხელი — კილასონია და ჯელაძე „ოლიმპს" მე-20 ეროვნული ჩემპიონატის ბოლომდე გაუძღვებიან.

კლუბის ხელმძღვანელობის დავალება ზოგადია — ყველა მატჩში მაქსიმალური შედეგის მიღწევა.

**ნუგზარი ლოლაძე**





თბილისის „ლოკომოტივი" ის გუნდია, ამ სეზონში დაკარგული ქულების მიხედვით რომ ლიდერობს, რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი რომ ჰყავს — ისეთები, ეროვნულ ნაკრებში რომ თამაშობენ ან უთამაშიათ... ბევრის აზრით, ვაკელთა გუნდის კარგ თამაშს ვიტალი დარასელია-გიორგი ლომაია-ნიკა ცქიტიშვილი-რატი ალექსიძის ოთხეული განაპირობებს და ეს არცაა სიმართლისგან შორს. ამ ოთხეულიდან ალექსიძე და ლომაია ექტორ რაულ კუპერის სანაკრებო სიაში ხვდებიან, ცქიტიშვილი და დარასელია კი — ვერა. „ძალიან მინდა, ერთი შანსი მეც მომცენ, მგონი, ვიმსახურებ კიდეც" — გვითხრა ვიტალიმ, რომელსაც გუშინ ინტერვიუსას ნაკრებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა...

# ვიტალი დარასელია: რატი ალექსიძესთან დაძახება არც მინდა

— „ლოკომოტივმა" რომ ასე კარგად დაიწყო სეზონი, პირველ რიგში რას მივაწეროთ?

— განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი. შეკრული გუნდი ვართ, ყველა მატჩში მოსაგებად ვიბრძვით. შემადგენლობაც ნორმალური გვყავს.

— არადა, წინა სეზონში „ლოკომოტივი" უმაღლესი ლიგიდან გავარდნის პირას იყო. როგორ ფიქრობ, შეძლებთ სეზონის ბოლომდე ტემპის შენარჩუნებას და ჩემპიონობისთვის ბრძოლას?

— უნდა შევძლოთ. თუ შემადგენლობა შენარჩუნდება და ყველაფერი კარგად იქნება, ჩემპიონობაც არ არის წარმოუდგენელი.

— უმთავრეს კონკურენტად რომელ გუნდს თვლი?

— „ვიტ ჯორჯიას" ძლიერი გუნდი ჰყავს. რამაზ მუმლაძეს კარგად ვიცნობ და ვიცი, როგორი მცოდნე მწვრთნელია. მისი უდიდესი დამსახურებაა, „ვიტ ჯორჯია" ასეთი გუნდი რომ დადგა. „დინამოც" სერიოზული ძალაა, მაგრამ რაღაც აკლია. „ზესტაფონთან" კი ჯერ არ გვითამაშია და ვნახოთ...

— შენს სათამაშო ფორმაზე რას იტყვი?

— ჯერ არ ვარ ოპტიმალურ ფორმაში, რაც იმის ბრალია, რომ ვარჯიში გვიან დავიწყე — ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღით ადრე. ტრავმა მქონდა, ლუქსემბურგულ „ეტცელასთან" მატჩის შემდეგ ფეხი მტკიოდა და უვარჯიშებელი ვიყავი.

— როდესაც ივო შუშაკის „დინამოში" თამაშობდი, მას შემდეგ ჩვენი ჩემპიონატის დონე ძალიან დაკლებულია?

— ჩემი აზრით, დაკლებულია. მაშინ ბევრი კარგი გუნდი იყო, უცხოეთშიც ასე წამდაუწუმ არ გარბოდნენ ფეხბურთელები.

— ეს ყველაფერი, ალბათ, უფულობის ბრალია...

— დიახ. ფული რომ ჩაიდოს ქართულ ფეხბურთში და კერძოდ, საქართველოს ჩემპიონატში, სულ სხვა დონე იქნებოდა, მაგრამ არ გამოდის.

— შარშან მოლდოვურ „დაჩიაში" თამაშობდი. იქაურ ჩემპიონატში უკეთესი თამაშებია, ვიდრე ჩვენთან?

— დიახ. დონე იქ უფრო მაღალია.

— მაგრამ მოლდოველებს ქართველებზე კარგი ფეხბურთელები ჰყავთ?

— რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, იქ უკეთესი პირობებია, მინდვრებია, ფული იდება ფეხბურთში და უფრო მონდომებულები არიან ფეხბურთელები.

— ისევ „ლოკომოტივზე", კერძოდ, შენი და რატი ალექსიძის დუეტზე ვთქვათ. კარგად ხართ ერთმანეთთან შეთამაშებული და ეს „დინამოდან" მოგყვებათ?

— რატისთან იმდენად ადვილია საერთო ენის გამონახვა, რომ... რა ვიცი, რა გითხრათ... შემიძლია, არც გავიხედო მისკენ, ბურთს ფეხი ამოვარტყა და ეგ არის. დაძახება არც გვჭირდება.

— ერთიც, ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების იმედი თუ გაქვს?

— იმედზე რა ვთქვა, მაგრამ მგონი, ერთ შანსს მეც ვიმსახურებ, გამომიძახონ, მნახონ, ეგებ წავადგე ნაკრებს...

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან მიქელაძე, ლევან ფანიაშვილი და გურამ ჩიგოგიძე

# გადავრჩით!

**სამიოდ დღის წინ ზუგდიდში მიმავალი ქართველი მსაჯები, ლევან ფანიაშვილი, ლევან მიქელაძე და გურამ ჩიგოგიძე რომ ავარიაში მოჰყვნენ, „სარბიელს" მკითხველმა იცის. ფანიაშვილი და მიქელაძე ზესტაფონის საავადმყოფოში მოათავსეს — ფანიაშვილს ხერხემლის მალის დაჟეჟილობა დაუდგინეს, მიქელაძეს კი მარცხენა ფეხის ამოვარდნილობა. ფანიაშვილი საავადმყოფოდან უკვე გამოწერეს და მას გუშინ გავესაუბრეთ...**

— მადლობა ღმერთს, ცოცხლები გადავრჩით. სოფელ საქასრიასთან დაღმართზე ავტომობილი მოგვიცურდა და ავტობუსს შევეჯახეთ. კიდევ კარგი, მე და მიქელაძეს ღვედები გვეკეთა და ამან გადაგვარჩინა — ჩიგოგიძე უკან იჯდა და მან მცირე დაჟეჟილობა მიიღო.

— სახლში უკვე გამოგწერეს, თუმცა მკურნალობა უნდა გააგრძელოთ...

— თვენახევარი წოლითი რეჟიმი მაქვს გამოწერილი. ხერხემლის მწვავე დაჟეჟილობა მაქვს. ჯერ ზუსტად არ ვიცი, როდის გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, მაგრამ თებერვლამდე რომ ვერ შევძლებ, ეს უკვე ცხადია.

— მიქელაძე ისევ საავადმყოფოშია?

— დიახ, ლევანს ფეხზე გირები აქვს დაკიდებული და თვენახევარი ასე უნდა იყოს.

— მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ!

— დიდი მადლობა.

ნუკრი ლოლაძე

# შალკეს ქართველობა ალბათ დააკლდება




**გელზენკირხენის „შალკეს"** სახვალიოდ ფრანგულ პსჟ-სთან უეფას თასზე, სავარაუდოდ, ოთხი ფეხბურთელი დააკლდება და მათ შორის, ლევან კობიაშვილი და ლევან ყენიაც.

„კობიზე" გუშინაც ვწერდით, გრიპი აქვსო. მართალია, ჩვენიანი მომჯობინდა, მაგრამ ფიზიკურად ჯანზე ჯერ ვერ ყოფილა.

რაც შეეხება ყენიას, მან საქართველო — ბულგარეთის მატჩში ფეხის ტკივილის გამო ვერ ითამაშა, გუშინწინ კი „შალკეს" მეორე გუნდში ერთი ტაიმი ჩაატარა, თუმც ტრავმის გამიზეზების შიშით შეცვალეს.

ილია ნანობაშვილი

**ზურაბ მენთეშაშვილი მერვედ გახდა ლატვიის ჩემპიონი, რაც შთამბეჭდავი შედეგია, მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა ეს ორ სხვადასხვა გუნდში, „სკონტოსა" და „ვენტსპილსში" მოახერხა. გუშინ „მენთეშას" რომ დავუკავშირდით, ჩემპიონობა მივულოცეთ, საკლუბო ამბებზე ვისაუბრეთ და, ცხადია, უფრო მეტად ეროვნულ ნაკრებს შევეხეთ — კვიპროსთან და ბულგარეთთან ფრეების შემდეგ „ჯვაროსნებს" ჯგუფიდან გასვლის შანსი მინიმუმამდე შეუმცირდათ, თუმც თამაშში სასიკეთო ძვრები გამოჩნდა...**



# რატომ გაგიკვირდათ ბულგარეთთან კარგი თამაში?

## ზურაბ მენთეშაშვილი: ხომ შეიძლება, სასწაული მოხდეს...

— ძნელი იყო წლეულს „ვენტსპილსისთვის" ჩემპიონობა? ცხრილიდან ისე ჩანს, ერთი თავით მაღლა იდექით მეტოქეებზე...

— წლეულს უფრო გაგვიძნელდა ჩემპიონობა, ვიდრე შარშან. თან თასიც წავაგეთ, პენალტებში დავთმეთ ფინალი „დაუგავასთან". შარშან სამი ტიტული მოვიგეთ, წლეულს კი ერთით დავკმაყოფილდით.

— ბალტიის თასის ნახევარფინალი კი „კაუნასთან" წააგეთ...

— დიახ, მაგრამ იქ ძირითადი გუნდები არ თამაშობდნენ, დუბლებით ვიყავით ჩვენც და „კაუნასიც".

— ანუ, ბალტიის თასი პოპულარული ვერ გახდა. ეს რისი ბრალია?

— რასაც ელოდნენ ბალტიის თასისგან, ნახევარიც ვერ გაამართლა. ფინანსურად არ არის ძლიერი ტურნირი.

— „ვენტსპილსში" რჩები თუ წასვლაზე ფიქრობ?

— ერთწლიანი კონტრაქტი დამრჩა კლუბთან. ჯერჯერობით, წინადადებები არსაიდან მიმიღია და ვნახოთ, ზამთარში თუ იქნება, ვიფიქრებ.

— სანაკრებო მატჩების შემდეგ, ალბათ, გულდაწყვეტილი წახვედი ლატვიაში...

— ასეა. ორივე თამაში მოსაგები იყო, მაგრამ ბედს რა ვუთხარი... ჩვენს კარში ლამის ყველა დარტყმული გადის, იქით კი არა და არ უნდა ბურთს კარში შესვლა...

— ესე იგი, მხოლოდ უიღბლობის ბრალია, რომ ორი საშინაო მატჩიდან ერთიც ვერ მოიგეთ?

— აბა, რას დავაბრალოთ?! თქვენ თუ თვლით, რომ სუსტი თავდამსხმელები გვყავს და იმიტომ ვერ გააქვთ გოლი, ასე არ არის. ხომ ნახეთ, რამდენი მომენტი შევქმენით, თავდამსხმელებმაც როგორ ეფექტურად იმუშავეს...

— კვიპროსთან 1:1-ის შემდეგ ბულგარეთთან ასეთი ძლიერი თამაში, ცოტა არ იყოს, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. რატომ იყო ასეთი განსხვავება ამ ორ თამაშს შორის?

— ბევრისგან რატომღაც მესმოდა, თითქოს ლოგიკით, კვიპროსთან უნდა მოგვეგო და ბულგარეთთან უნდა წაგვეგო. ვერ გავიგე, რატომ: კვიპროსი გუნდია და ყველამ იცის, როგორ ეთამაშა იტალიას.

— ეს კი, მაგრამ კვიპროსთან გაცილებით უარესად ითამაშა ნაკრებმა, ვიდრე ბულგარეთთან...

— შესაძლოა, განსხვავება იყო, მაგრამ არა იმხელა, რამხელაც დაიხატა. კვიპროსთანაც მოსაგები თამაში იყო, ვუტევდით, ალექსანდრე იაშვილს ბოლო წუთზე ჰქონდა მშვენიერი მომენტი. ბულგარეთთან კი... გეთანხმებით, რომ უფრო უკეთ ვითამაშეთ. ალბათ, იმიტომ, რომ მეტი ზეწოლა იყო — აუცილებლად უნდა მოგვეგო, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი გვქონოდა.

— ახლა როგორ ფიქრობ, გვაქვს რაიმე შანსი ჯგუფიდან გასვლის?

— ამ კითხვაზე ყოველთვის მიძნელდება პასუხი. ხომ შეიძლება, სასწაული მოხდეს?! ჯერ არავინ არაფერი იცის.

— ყველაზე თვალსაჩინო, რაც ჰექტორ რაულ კუპერის მოსვლის შემდეგ ნაკრებში შეიცვალა, რა არის?

— პირველ რიგში, დისციპლინა. საქართველოს ნაკრებს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს და არამც და არამც არ უნდა იფიქროს ხალხმა, რომ ბულგარეთთან ან მისი დონის გუნდებთან აუცილებლად წავაგებთ. საქართველოს კარგი თამაში გასაკვირი არ უნდა იყოს!

ილია ნანობაშვილი

# სვანაძემ უცნობი ლეგიონი გაიცნო

**დინამო 2 1:1 19-წლამდელები**

1:0 სიხარულიძე (36), 1:1 იჩქითი (59)

**დინამო 2:** ლოსაბერიძე (ნადირაძე 50), კეკელია, კაკუბავა, გეთიაშვილი, ოთარაშვილი (გედევან დარასელია 46), კოპაძე (ვ. ბოლქვაძე 46), ვ. ნემსაძე (მამრაში 46), ცერცვაძე (ქამუშაძე 46), ჯოხაძე (ლობჟანიძე 46), ჭადაშვილი (ჩიკვაიძე 46), სიხარულიძე (ლეკვთაძე 46)

**მწვრთნელი:** დავით კევლიშვილი

**19-წლამდელები:** მაკარიძე, რამიშვილი, ფარტენაძე (კაჭკაჭიშვილი 46), ჩადუნელი, იოსელიანი, გიორგი დარასელია, ე. კაჭახიძე (შალიკაშვილი 46), მამუჩიშვილი (ბ. მახარაძე 46), ბერაშვილი, ვაშაკიძე (იჩქითი 46), ზაქრაძე (თექთუმანიძე 46)

**მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე

**ნოემბერი** ახლოვდება და რა შეხსენება უნდა, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს კვიპროსზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ელის. 19-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი ზაურ სვანაძე ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად დროს მაქსიმალურად იყენებს და შეგირდებს საქმეში აკვირდება.

გუშინ დილმის სამწვრთნელ ბაზაზე 19-წლამდელთა ნაკრები თბილისის „დინამო 2"-ს გაეჯიბრა — მატჩი 1:1 დასრულდა.

სვანაძემ მისთვის ჯერაც უცნობი რამდენიმე ფეხბურთელი გამოსცადა. სამი მათგანი სულაც უცხოეთში მოთამაშე იყო — გიორგი დარასელია ებრაულ „ჰაპოელ ქვარ-სავაში" გამოდის, დავით ვაშაკიძე კიევის „არსენალში", ბექა ბერაშვილი კი „დნიპროში".

უნდა ითქვას, რომ ამ ფეხბურთელებს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ.

თითო ტაიმში თითო გოლი ვნახეთ. 36-ე წუთზე დინამოელი დავით ჯოხაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ. მისი დარტყმული კი მოიგერია გიორგი მაკარიძემ, მაგრამ დამატებაზე ირაკლი სიხარულიძემ ივარგა და ანგარიში გახსნა. პირველ ნახევარში დინამოელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს — დავით კევლიშვილის შეგირდები ბურთს კოხტად ათამაშებდნენ და მეტოქის კართან არაერთი ხიფათი შექმნეს.

მეორე ტაიმში მწვრთნელებმა ბლომად შეცვლები გააკეთეს და გამთანაბრებელიც შეცვლაზე შესულმა გიორგი იჩქითმა გაიტანა — მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო. პირველლიგელებს მოგება შეეძლოთ, მაგრამ რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენეს. ნამატჩევს სვანაძემ ეს გვითხრა: „ამ შეხვედრაში რამდენიმე ფეხბურთელს დავაკვირდი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ახლოვდება და გვინდა, ოპტიმალური შემადგენლობა შევარჩიოთ. მინდა ვთქვა, რომ ნაკრებში მოხვედრის შანსი ყველას ეძლევა. მორიგ მატჩს 24 ოქტომბერს ვგეგმავთ. სავარაუდოდ, „ამერს" გავეჯიბრებით".

ნუკრი ლოლაძე



ამირან მუჯირი (№10) „სტანდარდთან" მატჩში

# პირველ წრეში პირველი გვინდა

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ქართველთაგან თუ ვინმე გამოირჩევა, ერთ-ერთი პირველი ამირან მუჯირია. „ბაკის" ნახევარმცველი უკვე ზედიზედ სამი ტურია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს და, ბუნებრივია, მის მიმართ ჟურნალისტთა ინტერესიც გაიზარდა...

— „სტანდარდთან" 2:0 მოგებულმა შეხვედრამ როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვათ?

— ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დავმარცხეთ. კახა ცხადაძემ ძალიან კარგი გუნდი ჩამოაყალიბა. სერიოზულად ვემზადებოდით მათთან სათამაშოდ და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. თითოეული მეტოქის წინააღმდეგ ისე გავდივართ, თითქოს „ნეფთჩის" ან „ხაზარ-ლენქორანს" ვხვდებით. ქულების დაკარგვაზე არც ვფიქრობთ.

— ასეთი განწყობა ევლახის „ქარვანთან" შინ 0:3 განცდილი მარცხის შემდეგ გაქვთ?

— „ქარვანთან" წაგება კოშმარული სიზმარი იყო, რაც უკვე დავივიწყეთ.

— მომდევნო ტურში „ხაზარ-ლენქორანს" ხვდებით და ხომ არ ნერვიულობთ?

— ჩვეულებისამებრ, მატჩის წინ, მეტოქეზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ ყველას კარგად ესმის, რა რთული თამაში გველის. ლიდერობის დაბრუნება გვსურს, რისთვისაც ლენქორანელები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ.

— „ბაკისთვის" პირველი წრის შემდეგ ცხრილის სათავეში დამკვიდრება ძალიან მნიშვნელოვანია?

— ეს პირველ რიგში ფსიქოლოგიურადაა მნიშვნელოვანი. საერთოდ, უპირატესობის შენარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე მდევრის როლში ყოფნა. იმისთვის, რომ პირველ წრეში საუკეთესოები გავხდეთ, თითოეულ მატჩში მაქსიმუმი უნდა მოვიპოვოთ.

# გიორგი ნავალოვსკიმ ვარჯიში დაიწყო...



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნავალოვსკიმ ვარჯიში დაიწყო.

გეხსომებათ, მახაჩყალის „ანჟის" მარცხენა მცველი „მეტალურგ-კუზბასთან" მატჩში მძიმედ დაშავდა — ტვინის შერყევა მიიღო და აქამდე წოლითი რეჟიმი ჰქონდა.

ნავალოვსკიმ ორი დღეა, ვარჯიში დაიწყო, თუმცა სრულ დატვირთვებს ჯერჯერობით ერიდება.

ექიმების თქმით, გიორგის ცოტა ხანი კიდევ ასე მოუწევს და მერე შეუერთდება გუნდს.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# გავიხსენოთ კახი ასათიანი!

2002 წლის 20 ნოემბერს საქართველომ ძალიან ცუდი ამბავი შეიტყო — საკუთარ სახლთან მანქანაში ჩაცხრილეს ლეგენდარული ფეხბურთელი კახი ასათიანი.

მას შემდეგ ექვსმა წელმა ჩაიარა, თუმც ასათიანის მკვლელის ვინაობა ჯერაც უცნობია.

ქართველ ხალხს კახი ასათიანი არასოდეს დაავიწყდება და 12 დეკემბერს, მის დაბადების დღეს, კახი ასათიანის ფონდი მისი სახელობის ერთდღიანი საფეხბურთო ფესტივალის ჩატარებას გეგმავს. ამ ფესტივალში ოთხი სპორტული გაზეთი მიიღებს მონაწილეობას — „სარბიელი", „ოლიმპი", „ლელო" და „11X11". მოეწყობა ბავშვთა ტურნირიც...

როგორც „კახი ასათიანის ფონდის" ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, ფესტივალი მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული — მონაწილე გუნდებს გადაეცემათ საჩუქრები, ეკიპირებას კი ორგანიზაცია „ფეხბურთი ყველას" უზრუნველყოფს.

**ნუგზარ ლოლაძე**

# საქართველოს ჩემპიონატი 20

## პირველი ლიგა

## 8 ტური

### დასავლეთი

**მერანი (მ) 1:0 კოლხეთი**

1:0 ციცხვაია (58)

მერანი (მ): კოდალაევი, დ. ჩხიკვაძე, ფარცვანია, ი. ვაშაკიძე, კვიტატიანი, წოწორია, ტორაძე, პაპადოპულოსი, ლ. ჩალაძე, დ. გოგოლაძე (ცაგარეიშვილი 88), ციცხვაია (ლ. კირკიტაძე 78)

*სათადარიგონი:* ენდელაძე, გ. ბერიშვილი, არდაშელია, გეგეჭკორი, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

კოლხეთი: გ. შენგელია, ცხვიტარია, დ. ნარსია (გვალია 80), გ. სიჭინავა, გელაჭეიშვილი, ქომეთიანი (გვინია 44), ჩხარტიშვილი, აბურჯანია, გოგნაძე, ბაკარანძე (ციკოლია 73), ქანდაკაძე

*სათადარიგონი:* ჩემია, ლემონჯავა

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: ქანდაკაძე, გოგნაძე, ნარსია, ფარცვანია

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

200 მაყურებელი

**ზესტაფონი 2 4:1 გურია**

0:1 კვერენჩხილაძე (9), 1:1, 2:1 იონანიძე (37, 56), 3:1 ხვადაგიანი (66), 4:1 იონანიძე (87)

*კვერენჩხილაძემ ვერ გაიტანა პენალტი (42)*

ზესტაფონი 2: ძაძამია, ბუკია, ზ. ლობჟანიძე, სანტოსი, სტეფანიშვილი (ბერუაშვილი 46), გორგიაშვილი, ბერიძე, სუხიაშვილი (ი. ხვადაგიანი 62), რ. ჩიხლაძე (გ. ჭანკვეტაძე 67), შ. ლონლაძე, იონანიძე

*სათადარიგონი:* ო. ბოჭორიშვილი, კამლაძე, ლ. გაბრიჭიძე, ხიხაძე

მწვრთნელი: გია ნადირაძე

გურია: აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, ქურიძე, გოგიბერიძე, გ. იმნაძე, ი. კილაძე, ბეგოიძე, (მ. კოტრიკაძე 55), ხ. მგელაძე, ტ. კუკულაძე (ჯაყელი 69), კვერენჩხილაძე (ს. მოდებაძე 64), ურუშაძე

*სათადარიგონი:* ხურციძე, ჯორბენაძე, შეწირული, სულაბერიძე

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: კვერენჩხილაძე, ძაძამია, გორგიაშვილი

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

150 მაყურებელი

**ბათუმი 4:1 მეშახტე**

1:0 ტულუში (6), 2:0 დემურაძე (12), 3:0 ტულუში (40), 4:0 კალანდაძე (44), 4:1 ბ. გვეტაძე (88)

*ავალიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (75)*

ბათუმი: თ. კაკალაძე, რამიშვილი, გოგიტაური, გალოგრე, გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე (ზაქარეიშვილი 60), დემურაძე (ქადიძე 46), მალაზონია (ფარტენაძე 75), ლ. კალანდაძე, ი. ტულუში

*სათადარიგონი:* ვ. მჭედლიძე, გორჯელაძე, გ. ზოიძე, ი. თოთლაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

მეშახტე: გიორგაძე, დონაძე, ი. გვეტაძე, მ. ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი, მაჩალაძე, გობეჯიშვილი, ყურაშვილი, გოგუა, გ. გვენეტაძე (ბ. გვეტაძე 60), ავალიშვილი (ლომთაძე 85)

*სათადარიგონი:* თორთლაძე, ვ. წერეთელი

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: მაჩალაძე, დემურაძე, ავალიშვილი, ყურაშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

300 მაყურებელი

**ხობი 1:0 ჭიათურა**

1:0 ალანია (72)

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ა. კვირკველია, ჯამბურია, ალანია, კ. გოგენია, ლეფსაია (მ. შონია 78), გაგუა, ღლონტი, სართანია (გრიგოლია 81)

*სათადარიგონი:* ჭურღულია, ლატარია, ფირცხელავა, ლ. თოდუა, ჩაჩიბაია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

ჭიათურა: ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, კველიშვილი, ბრუსლი, გაფრინდაშვილი, კ. ძაგანია, გ. ხაჩიძე, ვ. ტყემალაძე, სეფერთელაძე, ცუცქირიძე, სევასტოპულო

*სათადარიგონი:* ზ. დარჯანია, ნ. ტყემალაძე, ვაშაძე, თემურ მიშველიძე, თემირ მიშველიძე, ბარათაშვილი

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: სევასტოპულო, სეფერთელაძე, სართანია, ალანია, ღლონტი

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

400 მაყურებელი

**ბაია 1:0 სამტრედია**

1:0 ექონია (84პ)

ბაია: ივარდავა, გ. პაჭკორია, ზ. ექონია, გ. ჟვანია, ძალამიძე, გუგუჩია (წურწუმია 46), კუტალია (კვეკვესკირი 89), რაფავა, ვართაგავა, სვირავა, გ. ქირია (ბოკუჩავა 87)

*სათადარიგონი:* მაქაცარია, ქობალია, კაკუშაძე

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

სამტრედია: ი. დ. შენგელია, გოგია, კვესეიშვილი, სამსეიშვილი, ლ. მახარაძე, ჩომახიძე, ბაკურაძე, ადეიშვილი, ეცადეიშვილი, მ. კაკალაძე (სალდაძე 46; ნინუა 78), გ. ოქრუაშვილი

*სათადარიგონი:* კვკელიძე, სუნიაევი, გ. დარჯანია, ი. ასათიანი, მუკბანიანი

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: წურწუმია, ბაკურაძე

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

400 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 8 | 5 | 1 | 2 | 16:5 | 16 |
| ბაია | 7 | 5 | 1 | 1 | 12:3 | 16 |
| კოლხეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 16 |
| მერანი (მ) | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 14 |
| სამტრედია | 8 | 4 | 1 | 3 | 12:7 | 13 |
| ხობი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| ზესტაფონი 2 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| გურია | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| ბათუმი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:15 | 8 |
| ტორპედო 2008 | 7 | 1 | 1 | 5 | 1:6 | 4 |
| მეშახტე | 7 | 0 | 1 | 6 | 4:17 | 1 |

**IX ტური**

26 ოქტომბერი

ჭიათურა – ბაია

გურია – ხობი

კოლხეთი – ზესტაფონი 2

მეშახტე – მერანი

ტორპედო 2008 – ბათუმი

### აღმოსავლეთი

**ნორჩი დინამო 2:2 გაგრა 2**

1:0 ტეტუნაშვილი (16ს.კ.), 1:1 ტეტუნაშვილი (30), 1:2 ჩხაიძე (57), 2:2 ლვთისავრიშვილი (78)

ნორჩი დინამო: გაბრიჩიძე, ა. კალაძე, ბოკუჩავა, დაბრუნდაშვილი, კ. ნაჭყებია, გ. გრიგალაშვილი (ლვთისავრიშვილი 75), გურაბანიძე, ლ. გაბუნია (ა. შენგელია 31), ლაბარტყავა (ნ. ჩიხლაძე 63), ი. ქავთარაძე, ბ. მამარდაშვილი

*სათადარიგონი:* ბ. ცინცაძე, ედიშერაშვილი, ბურჭულაძე, დემეტრაშვილი

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

გაგრა 2: გ. ნაჭყებია, ლალიანი, ბ. ტეტუნაშვილი, კვანტალიანი, გედენიძე, ი. ხელაძე (სუხიშვილი 64), ხოკერაშვილი, ლ. სეთურიძე (ბ. ყიფიანი 31), ჯ. გაბუნია, დ. ჩხაიძე, ზ. ძაგანია (კორიფაძე 69)

*სათადარიგონი:* ა. კოტრიკაძე, გ. სეფიაშვილი, თ. მეტრეველი, ე. კილაძე

მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე

გაფრთხილება: ყიფიანი

მსაჯი: ი. ურუშაძე

100 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2 5:0 სიონი 2**

1:0, 2:0, 3:0 სვანიძე (11, 46, 50), 4:0 ცხოვრებაძე (56), 5:0 მაისაშვილი (87)

ვიტ ჯორჯია 2: ა. მიქაბერიძე, ვეკუა, გოგიაშვილი, კასრაძე, გამრეკელიძე, დ. მაისაშვილი, ლანიაშვილი (დვალაშვილი 46), ვასაძე, როსტიაშვილი (ცხოვრებაძე 55), გ. ჯანელიძე, ი. სვანიძე (ლვინიაშვილი 63)

*სათადარიგონი:* ლურბელეიშვილი, ზაქრაძე, ფურცელაძე, იოსელიანი

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

სიონი 2: გურგენიძე, ნაყოფია, იობაშვილი, გაბიძაშვილი, ბ. ნოზაძე (შ. გაბრიჭიძე 46), ალფაიძე (ქობულაძე 78), გ. თავბერიძე, უგულავა, ვ. უგრეხელიძე, მ. ოქროპირიძე (გიორბელიძე 55), ლ. მიგინეიშვილი

*სათადარიგონი:* გავაშელი, ი. ბრეგვაძე, მ. ჭაველაშვილი, თ. რეხვიაშვილი

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილება: მაისაშვილი, ვასაძე, გამრეკლიძე, ოქროპირიძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

50 მაყურებელი

**ჰერეთი 1:1 კახეთი**

1:0 თოფურია (22), 1:1 ბიძინაშვილი (66)

ჰერეთი: ბილიხოძე, თანდაშვილი (ცქიფურიშვილი 76), ლომიძე, ფარულავა, ხარაიშვილი, გ. მაჭარაშვილი, კუპრაშვილი, წვერავა (გ. ოქრუაშვილი 78), ქარსელაძე, ვარამიშვილი (ტაბატაძე 56), თოფურია

*სათადარიგონი:* მატვიენკო, ტყეშელაშვილი, მურმანიშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი

კახეთი: კობრიაშვილი, მ. ხიდეშელი, ტარულაშვილი, მურველიშვილი, ხუმარაშვილი, მელიქიშვილი, ი. კობაიძე, ლ. აბდულაევი, იმერლიშვილი (ბიძინაშვილი 60), ლ. გიგაური (ძამუკაშვილი 60), ლ. ტეტიაშვილი (გენგაშვილი 90)

*სათადარიგონი:* ქუფარაშვილი, ო. აბდულაევი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

გაფრთხილება: ვარამიშვილი, მაჭარაშვილი, კობაიძე

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

100 მაყურებელი

**ჩიხურა 2:1 დილა**

1:0 მიქაძე (15), 2:0 ტყებუჩავა (43), 2:1 მეტრეველი (90)

ჩიხურა: დოლაძე, ნ. მაჭარაშვილი, ზივზივაძე, მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა, დოლონაძე, ი. ზაბახიძე (ლ. ჩიკვაიძე 70), ჭილაძე, გულიაშვილი (პეტრიაშვილი 77), მ. მიქაძე (როგავა 59), ლ. კობახიძე

*სათადარიგონი:* ხვედელიძე, გ. ენუქიძე, ცარციძე, მწყერაშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

დილა: კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, შარანგია, გ. თარგამაძე, გ. ჩიხრაძე, სორდია, დონდოლაძე (ბ. მაჭავარიანი 46), ი. თოდუა, თ. ბარამიძე (გ. მეტრეველი 72), გ. გურეშიძე, იჩქითი (ანდღულაძე 46)

*სათადარიგონი:* დგებუაძე, ფაილოძე, ჩერქეზიშვილი, მინდიაშვილი

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

გაფრთხილება: ცოცხალაშვილი, მიქაძე, ჩიხრაძე

მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

200 მაყურებელი

**თბილისი 0:3 ამერი**

0:1 ქებაძე (7), 0:2 ბოჯგუა (37), 0:3 ლაფერაშვილი (88)

თბილისი: ხარშილაძე, სარაჯიშვილი, მიქელაძე (ოდიშარია 28), დ. ამისულაშვილი, ბელქანია, ზვიადაძე, ი. მოდებაძე (გ. გურეშიძე 67), ხოხონიშვილი, ჯაში (კბილცეცხლაშვილი 50), ტორონჯაძე, სებისკვერაძე

*სათადარიგონი:* გიორგობიანი, ჭაფოძე, აფხაზავა, სულუხია

მწვრთნელი: გელა გომელაური

ამერი: ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ცხოვრებაშვილი, ლ. ბოჯგუა (ბენდელიანი 75), ტიკურიშვილი (გ. ჯელაძე 81), ნ. ქებაძე (ლაფერაშვილი 72), ჩიმაკაძე

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ბუმბეიშვილი, გ. ხელაძე, ფუტკარაძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჯაში, ელბაქიძე, ბოჯგუა, ცხოვრებაშვილი

მსაჯი: ხ. გაგნიძე

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 8 | 5 | 2 | 1 | 20:7 | 17 |
| ამერი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 17 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 7 | 4 | 3 | 0 | 14:2 | 15 |
| დინამო 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| დილა | 7 | 4 | 1 | 2 | 13:6 | 13 |
| სიონი 2 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:21 | 8 |
| თბილისი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| ნორჩი დინამო | 7 | 1 | 2 | 4 | 10:15 | 5 |
| გაგრა 2 | 8 | 1 | 2 | 5 | 10:18 | 5 |
| ჰერეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | 5 |
| კახეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:13 | 4 |

**IX ტური**

26 ოქტომბერი

გაგრა 2 – თბილისი

სიონი 2 – ნორჩი დინამო

კახეთი – ვიტ ჯორჯია 2

დილა – ჰერეთი

დინამო 2 – ჩიხურა

# კაცი, რომელიც გაიმარჯვებს და წავა



ფაბიო კაპელო



დევიდ ჯეიმსი

**საკვირაო** The News Of The World თავის სტატიას ასე იწყებს:

თავიდან კარგ ამბავს მოგახსენებთ: ფაბიო კაპელო ის კაცია, რომელსაც სწამს, რომ ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონის 44 წლის უნახავ ტიტულს კვლავ შეახვედრებს. ახლა კი ცუდი ამბავი: თუ სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრები გაიმარჯვებს, დიდების შარავანდედით მოცული იტალიელი მწვრთნელი თანამდებობას დატოვებს. კაპელოს ეს, კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ოთხნახევარი წლით ადრე უკვე გადაწყვეტილი ჰქონია — მეგობრებისთვის უთქვამს, მინდა, ტიტული მოვიგო და „სოჰო სკვერს“ ვადაზე ორი წლით ადრე დავემშვიდობოო. ცნობისთვის: „სოჰო სკვერი“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ოფისის მისამართია.

და როდესაც სამსახურიდან გაშვებას, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი გთხოვს, რასაკვირველია, უარს ვერ ეტყვი.

სტატიის ავტორმა რობ ბისლიმ, როგორც ჩანს, სწორედ კაპელოს ნაცნობ-მეგობრებში გაიარ-გამოიარა. ერთს უთქვამს:

„ფაბიო მეტად თავისნათქვამა და დაჟინებული კაცია. მას უკვე შედგენილი აქვს სამხრეთ აფრიკაში ინგლისის გაჩემპიონების და მერე გადადგომის გეგმა. სამსახურიდან მსოფლიოს ჩემპიონის რანგში წასვლა მისთვის ინგლისური ეპოქის დიდებული დასასრული იქნება. თუკი ამასაც მიაღწია, რომელი სიმაღლე დარჩება კარიერაში დასაპყრობი?“

შემდეგ, რობ ბისლი ადასტურებს, რომ თანამდებობაზე მისვლიდან ათ თვეში კაპელომ ინგლისის ნაკრებს ხელი დაატყო. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გუნდს ასეთი კარგი სტარტი — ზედიზედ ოთხი გამარჯვება — ხომ არასდროს ჰქონია. დღეს ინგლისელები მეექვსე შესარჩევი ჯგუფის სათავეში არიან და ეჭვი აღარავის ეპარება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავლენ. თან, დააკვირდით, ხსენებული ოთხი თამაშიდან ინგლისმა სამი სტუმრად ჩაატარა. მერედა, ამ სამიდან ორი ისეთი იყო, გარშემო ყველას ნაღდ გამოცდად რომ მიაჩნდა — ხორვატიასა და ბელარუსთან — მაგრამ კაპელოს ქვეშევრდომებმა ორივე შთამბეჭდავად მოიგეს, თითქოს იოლი გასეირნების მეტი არაფერი ევალებოდათ. რაც შეეხება გატანილ-გაშვებულის ბალანსს, სურათი აქაც შთამბეჭდავია: 14 გატანილი და 3 გაშვებული.

და რაა გასაკვირი, რომ ასეთმა ყოჩაღმა სტარტმა ლოგიკური კითხვა გააჩინა: თუკი კაპელომ 10 თვეში, აი, ეს შეძლო, წარმოგიდგენიათ, რას შეძლებს ის მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩენილ 20 თვეში?

რასაკვირველია, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა იზრდება საკუთრივ ფეხბურთელებშიც. ფანებსაც უკვე სწამთ, რომ კაპელოს ხელში მათი ქვეყნის ნაკრები თავის რიხიან სიტყვას იტყვის.

მეკარე დევიდ ჯეიმსი იტალიელ მწვრთნელზე ლაპარაკს არ იზარებს და მას ინგლისის ნაკრების წინა თავკაცებსაც ადარებს. ანკი, როგორ უნდა დაიზარო ლაპარაკი ადამიანზე, რომელიც ყოველ კონკრეტულ მატჩს დაწვრილებით აანალიზებს, წარმოუდგენელ დეტალებში წვდება და იმ შეხვედრების შემდეგაც კი, რომელშიც გუნდმა სუსტი მეტოქე დაჯაბნა, ფეხბურთელებს უხსნის, თუ რომელ ეპიზოდებში ითამაშეს მოთხოვნილ სტანდარტებზე დაბლა.

„პორტსმუთის“ გოლკიპერი ამბობს:

„გატანილი გოლების ჩანაწერებსაც კი ვუყურებთ და მწვრთნელი გადაადგილებებს გვიკრიტიკებს. რომ ვუსმენთ, აშკარა ხდება, რომ უკეთესად შეგვეძლო იმ გოლის გატანა. და ამას ბუზღუნა ხასიათის გამო კი არ აკეთებს, არამედ იმიტომ, რომ ამქვეყნად რაღაც უნახავს და იცის, რომ შეუძლია, რაც თვითონ იცის, ჩვენც გვასწავლოს. მას არავის გაკრიტიკებისა არ ეშინია და ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენთან ურთიერთობაში ის პირდაპირია და ყველაფერს ცხადად აწყობს, არეულობას და გაუგებრობას არაფრისგან ქმნის.

ის ამბობს, რომ კარში არასდროს მდგარა და მეკარის საქმეზე წარმოდგენა არ აქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, სულ მასწავლის, როგორ უნდა დავიცვა კარი. მას ვერავინ დაემალება. მის შენიშვნებს უგულისყუროდ ვერავინ მოეპყრობა, რადგან ყველამ იცის, რომ მისი სწავლებები ჩვენთვის სასიკეთოა და მათი წყალობით უკეთ ვითამაშებთ.

ვიცი, როდესაც მან თქვა, რომ ჩვენ ესპანელებს შევხვდებით და შესაძლოა, დავამარცხოთ კიდეც, ბევრმა წარბები აჭიმა, მაგრამ რაც მისტერ კაპელო ჩვენი მწვრთნელია, პირადად მე ვიცი, რომ ჩვენ ბევრი რამის მიღწევა შეგვიძლია. მის ხელში ყველაფერი იოლი ხდება. ის ძალიან პოზიტიური ადამიანია. მან ზუსტად იცის, რას ითხოვს ჩვენგან და ჩვენც ვცდილობთ, მისი დავალებები შევასრულოთ.

იმედი მაქვს, სხვა ქვეყნებშიც ხედავენ ჩვენს მუშაობას და შედეგებს. გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენი შემადგენლობიდან გამომდინარე, ის, რაც უკვე გავაკეთეთ, მაქსიმუმზე მეტია. რასაკვირველია, წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა. ჯერ სად არის ის, რაც საბოლოოდ უნდა მივიღოთ. საკუთარი თამაშით კმაყოფილებამდე ბევრი შესარჩევი მატჩია ჩასატარებელი, მაგრამ ინგლისის ნაკრებთან დაპირისპირებს უკვე ბევრს არ ესიამოვნება. მოედანზე უკვე საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი გავდივართ.

ჩვენ ისეთი მწვრთნელი გვყავს, რომ დარწმუნებული ვარ, გაზაფხულისთვის, როდესაც შესარჩევი თამაშები განახლდება, ასეთ განწყობასა და ფორმას აღგვიდგენს. საამისოდ ის ამხანაგურები გამოგვადგება, რომლებიც მანამდე დაგვენიშნეს. ერთი სიტყვით, ჩვენ სათავეში გვიდგას მწვრთნელი, რომლისაც გვწამს და ისე, როგორც მთელ ერს, ჩვენც გვწამს, რომ საქმე მისთვის ზედგამოჭრილ კაცს აბარია.

რასაკვირველია, იმას არ ვამბობ, რომ რაიმე გარანტირებული გვაქვს, მაგრამ როდესაც ჩვენს წინაშეა ადამიანი, რომელმაც იცის, რა უნდა და წარმატებას როგორ მიაღწიოს, ყველაფერი იოლდება“.

და ფაბიო კაპელოთი კმაყოფილი ადამიანების რაოდენობა მხოლოდ მეკარე დევიდ ჯეიმსით როდი ამოიწურება. კმაყოფილია იტალიელი მწვრთნელის დამქირავებელი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე, ლორდი ტრიესმენი:

„მართლაც ძალიან კარგი დრო დაგვიდგა. ფაბიო ძალიან სერიოზულ საქმეს ძალიან სერიოზულად აკეთებს და შედეგიც ისეთი აქვს, ყველას რომ გვახარებს. ვგრძნობთ, რომ რაღაც ისეთი ხდება, რაც დიდი ხანია, არ მომხდარა.

ფაბიოს ხელში ინგლისის ნაკრები ზუსტად ის ადგილია, რაც უნდა იყოს. მწვრთნელი მკაცრია, მაგრამ ამ სიმკაცრის გამო გუნდის ბანაკში საძულველ ადგილად არავისთვის ქცეულა. არავინ დაძვრება ვინმეს კლანჭებისგან თავის დასაძვრენად. აქ ყველაფერი მარტივადაა, პროფესიონალ სპორტსმენებს პროფესიული მუშაობა და ქცევა შესთავაზეს. ჩემი დაკვირვებით, ასეთი სიამოვნებით ფეხბურთელებს არასდროს უმუშავიათ“.

ხოლო, რაც შეეხება ფაბიო კაპელოს გასამრჯელოს, წელიწადში 6 მილიონ გირვანქას, რაც 10,28 მილიონი დოლარის ან 7,72 მილიონი ევროს ტოლფასია, ამაზე ლორდმა ტრიესმენმა თქვა:

„საკონტრაქტო პირობები ისე მოვილაპარაკეთ, რომ ორივე მხარე კმაყოფილი ყოფილიყო. ამ პირობებში ზოგი ისეთი პუნქტი შედის, რომელთა მიღწევა ხალხს ქუჩაში გამოიყვანს, ამღერებს და აცეკვებს“.

**პაპუნა ძიძია**

## კამარა დეკემბერში დაბრუნდება

**ლონდონის** „ფულემის“ თავდამსხმელი დიომანსი კამარა, რომელმაც ზაფხულში მუხლზე ოპერაცია გადაიტანა, შესაძლოა, დეკემბრის ბოლოს მოედანზე დაბრუნდეს.

„ტრავმის რეაბილიტაცია საკმაოდ სწრაფი ტემპებით მიდის. იმედია, რომ ორ-სამ თვეში თამაშს კვლავ შევძლებ. ველოტრენაჟორებზე ვარჯიში და ძუნძული უკვე დავიწყე და, ვფიქრობ, მალე კარგ ფიზიკურ ფორმაშიც ჩავდგები“ — თქვა „კოტეჯელთა“ ფორვარდმა.

## პსჟ-მ ბოლი გაუშვა

**„პარი სენ-ჟერმენის“** 20 წლის თავდამსხმელი იანიკ ბოლი სეზონს „ლე ავრში“ დაასრულებს.

„მარსელის“ ლეგენდარული ფეხბურთელის ბაზილ ბოლის ძმისშვილი დედაქალაქელებმა იჯარის წესით გაანათხოვრეს. იანიკმა პარიზელთა რიგებში ორი სეზონის განმავლობაში მოედანზე მხოლოდ 28 წუთი დაჰყო, რის გამოც კლუბის გამოცვლა მისთვის ნამდვილად სასარგებლო იქნება, რაც თვითონვე აღნიშნა:

„მოხარული ვარ, რომ შეთანხმება შედგა. ამჟამად ჩემთვის სათამაშო პრაქტიკაა აუცილებელი, რათა პროგრესირება განვაგრძო“.

იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ, „ლე ავრს“ ბოლის სრულად გამოსყიდვის უფლება ექნება.

**არჩილ ძოგახიძე**

## კიტა ახალ მწვრთნელს აქებს

**ფრანგული** „ნანტის“ პრეზიდენტი ვალდემარ კიტა თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილია. იგი გუნდის ახალ მწვრთნელ ელი ბოპსაც აქებს, რომელმაც გუნდს ბოლო ხუთ მატჩში სამი გამარჯვება მოაპოვებინა.

„ჩვენ გვქონდა საუბარი გუნდის მომავლის შესახებ და დავრწმუნდი, რომ მასთან მუშაობას შევძლებდი. ბოპი და გუნდი ყოფილი მწვრთნელი მიშელ დერ ზაქარიანი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან. აქ, ნანტში, ფეხბურთი განსაკუთრებით უყვართ. ამიტომ მსურს, რომ გუნდმა სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშოს. ოთხ-ხუთ წელიწადში, როდესაც ჩემს გეგმებს განვახორციელებ, კლუბიდან წავალ“ — განაცხადა ვალდემარ კიტამ.

„ნანტმა“ გასულ უქმეებზე „სენტ-ეტიენი“ მინიმალური სხვაობით (1:0) დაამარცხა, ხოლო შემდეგ შეხვედრას „ლორიანთან“ სტუმრად გამართავს.

**გაგა ლოზჟანიძე**

# ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური

### A ჯგუფი

## ლამპარდს მესიჯები არ აშინებს

**ბორდო — კლუჟი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორდო:** ვალვერდე, გუფრანი, დიარა, ფერნანდეშ, ჟურიეტი, გურკუფი, ვენდელი, დიავარა, შალმე, ობერტანი, შამახი

**კლუჟი:** სტენჩიოუ, ტონი, მურეშანი, დე ბარბიე, ტრიკე, კონე, კულიო, კადუ, დე სოუზა, დანი, პერეირა

**მსაჯი:** ივან ბებეკი (ხორვატია)

**ჩელსი — რომა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, ალექსი, ტერი, ბრიჯი, ჯო კოული, მიკელი, ლამპარდი, მალუდა, კალუ, ანელკა

**რომა:** დონი, სისინიუ, პანუჩი, მექსესი, რიისე, ტადეი, დე როსი, აკვილანი, პეროტა, ვუჩინიჩი, ტოტი

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

**ამ ჯგუფში** ფავორიტებად „ჩელსი“ და „რომა“ მიიჩნეოდნენ. წესით, მათთვის წინააღმდეგობა „ბორდოს“ უნდა გაეწია, ხოლო რუმინულ „კლუჟს“ სათვალავშიც არავინ იღებდა, მაგრამ... ყველაფერი ასე მარტივად როდია. მაურიციო ტრომბეტას მშვენიერი, მებრძოლი გუნდი ჰყავს და ვინ იცის, ეგებ სენსაციურად დაწყებული საქმე ასევე გააგრძელოს.

„რომა“ მძიმე ვითარებაშია, გუნდმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და სათანადო თამაშის ჩვენებას ვერაფრით ვერ ახერხებს. ლუჩანო სპალეტის შეგირდები კვირას შინ „ინტერთან“ 0:4 განადგურდნენ... „ჩელსიმ“ კი სტუმრად „მიდლსბროს“ 5:0 მოუგო. თანაც, შესაშურ ფორმაში მყოფ ლონდონელებს „რივერსაიდზე“ პეტრ ჩეხი, ეშლი კოული, მიკაელ ესიენი, რიკარდუ კარვალიუ, ჯო კოული, დიდიე დროგბა და მიხაელ ბალაკი აკლდათ. ასე რომ, „ჯალოროსის“ „სტემფორდ ბრიჯზე“, წესით, ძალიან გაუჭირდება.

ჩეხი, შესაძლოა, „ჩელსის“ კარში დაბრუნდეს. მან ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ შეძლებს თუ არა თამაშს, ექიმებმა ჯერ არ იციან.

მასპინძელთა ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი: „ჩვენ შედეგზე ვართ ორიენტირებულნი და კარგი თამაშის ჩვენებაც გვინდა. ეს „მიდლსბროსთანაც“ გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. წინა წლებისგან განსხვავებით, „ლივერპული“ სტაბილურად აგროვებს ქულებს, რაც ძალიან სახიფათოა. „მანჩესტერი“ ფორმაში შევიდა. „არსენალი“ მშვენიერ ფეხბურთს თამაშობს. ყველა ცდილობს, მესიჯი გამოგვიგზავნოს და შეგვაშინოს, მაგრამ პრემიერლიგის ლიდერები ვართ და ბოლომდე პირველ ადგილზე დარჩენა გვინდა. ახლა მთლიანად „რომასთან“ შეხვედრაზე ვართ კონცენტრირებულნი. მძიმე მატჩი რომ იქნება, თქმაც არ უნდა, მაგრამ მოსაგებად ვითამაშებთ და იმედია, მიზანს მივაღწევთ კიდეც“.

„ძალიან რთული მატჩი გველის. თუმცა შემდეგ ეტაპზე გასვლა გვინდა და ამიტომ, ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლებთ. „კლუჟთან“ საშინლად ვითამაშეთ და „ბორდოსთანაც“ პრობლემები გვქონდა, 1:0-ს რომ ვაგებდით. სანამ ჯგუფური ეტაპი დაიწყებოდა, ყველამ ვიცოდით, რომ „ჩელსი“ აშკარა ფავორიტი იყო, მაგრამ გვეგონა, მეორე ადგილზე გასვლა არ გაგვიჭირდებოდა. თუმცა გამოჩნდა, რომ საქმე არც ისე მარტივადაა და ახლა ლონდონში ქულა მაინც აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ. ამას ვამბობ მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსი“ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია ევროპაში. დროგბა ტრავმირებულია, მაგრამ სკოლარის ჰყავს მეორე სახიფათო ფორვარდი ნიკოლა ანელკა. „სტემფროდ ბრიჯზეც“ და მერე, „სტადიო ოლიმპიკოზეც“, სრულად უნდა დავიხარჯოთ, სხვანაირად არაფერი გამოვა“ — თქვა „რომას“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჟულიუ ბაპტიშტამ.



„ბორდომ“ შინ „კლუჟს“ თუ ვერ მოუგო, მეორე ადგილზე კი არა, მესამე ადგილზე და უეფას თასზე გადანაცვლებაზეც უნდა დაივიწყოს ფიქრი. ფრანგთა თავკაც ლორან ბლანს ეს კარგად ესმის. თუმცა ფონს გასვლა დისკვალიფიცირებული ენრიკესა და ბენუა ტრემულენას გარეშე მოუწევს. რუმინელებმა კი, „რომასა“ და „ჩელსის“ ტოლი არაფერში დაუდეს და ფრანგების რატომ უნდა ეშინოდეთ? ასე რომ, ეს მატჩიც ძალიან საინტერესოა.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| კლუჟი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

### B ჯგუფი



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

## როგორ ჩააბარებს გამოცდას ქეცბაია?

**ინტერი — ანორთოსისი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, კორდობა, ძანეტი, მაიკონი, კამბიასო, სტანკოვიჩი, მანსინი, მუნტარი, იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო, კუარეშმა

**ანორთოსისი:** ბექაი, კაცავაკისი, ნიკოლაუ, დელასი, კონსტანტინუ, დობრაშინოვიჩი, ლევაკაბესი, პაულუ კოშტა, ლაბანი, სავიო, სოსინი

**მსაჯი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

**პანათინაიკოსი — ვერდერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, მუნი, საროეგი, მატოსი, ვინტრა, ჰრისტოდულოპულოსი, გუმასი, კლეიტონი, ჟილბერტუ სილვა, სალპინგიდისი, სპიროპულოსი

**ვერდერი:** ვიზე, პასანენი, ნალდო, მერტესაკერი, პრიოდლი, ბაუმანი, დიეგო, იოზილი, ფრიცი, პისარო, როსენბერგი

**მსაჯი:** მაიკლ რაილი (ინგლისი)

**ჩვენებურ** თემურ ქეცბაიას მძიმე დუელი ელის, მას თვით ჟოზე მაურინიუსთან მოუწევს ტაქტიკური ბრძოლის გამართვა. გასაგებია, რომ პორტუგალიელს დიდი უპირატესობა აქვს, მას ბევრად მაღალი ხარისხის შემსრულებლები ჰყავს, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა, რას დაუპირისპირებს ქეცბაია. მით უმეტეს, რომ მან და „ანორთოსისმა“ უკვე გაგვაოცეს — კვიპროსელებს 4 ქულა აქვთ და ჯგუფიდან გასვლაზე გაუჩნდათ ამბიცია.

წესით, „ინტერს“ ამ ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ მილანელები საქმეს არ გააჯანჯლებენ და ეცდებიან, მერვედფინალის საგზური რაც შეიძლება მალე მოიპოვონ, ამიტომ, ცხადია, მოსაგებად ითამაშებენ და თავს არ დაზოგავენ. თან „ნერაძური“ ფორმაში შევიდა და „რომასთან“ სტუმრად მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, სერია A-ს სათავეში ჩაუდგა.

„ზლატან იბრაჰიმოვიჩი საოცარი ფეხბურთელია, მას ნებისმიერ სისტემაში შეუძლია ჩაჯდომა და თამაში. გუნდში ასეთი ფორვარდის ყოლა ბევრს ნიშნავს, იგი თანაგუნდელებსაც უყვართ. მაგალითად, „რომასთან“ იგი შეტევაში სულეიალი მუნტარისა და დეიან სტანკოვიჩთან ერთად იყო და თავადაც ნახეთ, როგორ გაისარჯა. იგივე წარმატებით შეუძლია თამაში ადრიანოსა და მარიო ბალოტელისთან ერთადაც, თავადაც ხედებით, რამხელა სხვაობაა. თუმცა, „ჯალოროსისთან“ კარგი თამაში და მოგება ახლა უნდა დავივიწყოთ და მთლიანად ჩემპიონთა ლიგასა და „ანორთოსისთან“ მატჩზე გადმოვერთოთ“ — განაცხადა მაურინიუმ.

შეიძლება ითქვას, „პანათინაიკოსს“ ამ ჯგუფში რაიმესთვის გაბრძოლების ბოლო შანსი აქვს. ათენელები შინ „ვერდერს“ მასპინძლობენ და აუცილებლად უნდა მოუგონ. მათ წისქვილზე წყალს ის ასხამს, რომ „მუსიკოსებს“ შემადგენლობასთან გარკვეული პრობლემები აქვთ.

„დანიელ იენსენი ნამდვილად ვერ დაგვეხმარება. დიეგო და ნალდო ისვენებდნენ და მომჯობინდნენ, წესით, მათ თამაში უნდა შეძლონ. მოხარული ვარ, რომ დაგვიბრუნდა მარკუს როსენბერგიც“ — აღნიშნა ბრემენელთა მწვრთნელმა თომას შააფმა.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანორთოსისი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ვერდერი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## C ჯგუფი

## ბაზელი სტატისტიკას ებღაუჭება

**შახტარი — სპორტინგი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შახტარი:** პიატოვი, ჰიუბშმანი, ფულიაი, შევჩუკი, ლევანდოვსკი, ჩიგრინსკი, იშჩენკო, სრნა, ფერნანდინიო, ბრანდაუ, ვილიანი

**სპორტინგი:** რუი პატრისიუ, ანდერსონ პოლგა, აბელი, გრიმი, ტონელი, ველოზუ, როშემბაკი, მოუტინიუ, რომანიოლი, დერლეი, პოსტიგა

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**ბაზელი — ბარსელონა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაზელი:** კოსტანცო, ცუმბერტი, გიასულა, ჰუგელი, ჩიპერფილდი, აბრაამი, საფარი, ფერატი, კარლიტუში, ცანი, პეროვიჩი

**ბარსელონა:** ვალდესი, პუიოლი, მარკესი, აბიდალი, ალვეში, ხავი, ინიესტა, ტურე, მესი, ანრი, ეტოო

**მსაჯი:** ერიკ ბრამჰარი (ჰოლანდია)



კვირას „ბარსელონამ“ ეტოოს გოლით მოიგო

**ჯგუფის** ბოლოადგილოსანი „ბაზელი“ ლიდერ „ბარსელონას“ უმასპინძლებს. სტუმრები თუ მოიგებენ, ცალი ფეხით მერვედფინალში მოხვდებიან.

ისტორიას თუ გადავხედავთ, პირველ-მეორე მატჩის წაგების შემდეგაც, ჯგუფიდან გასვლის შანსი არსებობს და „ბაზელიც“ ამ შანსს უნდა ჩაებღაუჭოს. შარშან, ზედიზედ ორი მარცხის მიუხედავად, „ლიონი“ გავიდა, ორი წლის წინ — „ინტერი“, 2005-06-ში — „ვერდერი“.

ერთადერთი გუნდი, რომელმაც სამი წაგებით დაიწყო და ჯგუფიდან მაინც გაძვრა, „ნიუკასლია“ (2002-03).

„ბარსელონა“ ბოლოს შვეიცარიას 30 წლის წინ ესტუმრა, როცა თასების მფლობელთა თასზე „ლუგანოს“ 1:0 მოუგო.

„ბარსას“ ქალაქ ბაზელში სამჯერ უთამაშია, მაგრამ მხოლოდ ერთხელ — შვეიცარიულ კლუბთან. ეს იყო ბაზრობათა თასზე (შემდგომში — უეფას თასი) 1958-59 წლებში. მაშინ კატალონიელებმა ქალაქ ბაზელის ნაკრებს 2:1 სძლიეს. ასევე ბაზრობათა თასის მატჩში, 1967-ში „ბარსელონა“ „ციურიხთან“ სტუმრად 1:3 დამარცხდა.

ესპანურ კლუბებს „ბაზელი“ 10-ჯერ შეხვდა და მხოლოდ ერთხელ აჯობა. ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე შინ (2002-03) „დეპორტივოს“ 1:0 მოუგეს.

ესპანელებთან „ბაზელის“ საშინაო შეხვედრების სტატისტიკა ასეთია — ერთი მოგება, ორი ფრე და ორი წაგება.

„ბარსელონამ“ კვირას სტუმრად „ბილბაოს“ სამუელ ეტოოს გოლით 1:0 მოუგო, „ბაზელმა“ კი „გრასჰოპერთან“ გასვლაზე 1:1 ითამაშა.

თანაბარქულიანი „შახტარი“ და „სპორტინგი“ დონეცკში შეხვდებიან. უკრაინული კლუბი პორტუგალიელ მეტოქეებს ევროთასებზე ექვსჯერ გადაეყარა. ორი მატჩი მოუგო, ამდენივეჯერ დაუზავდა და ოთხჯერ წაგო.

ჩემპიონთა ლიგის გასულ სეზონში „შახტარი“ ჯგუფურ ეტაპზე „ბენფიკას“ შეხვდა. ლისაბონში დონეცკელებმა 1:0 იმარჯვეს, მაგრამ შინ 1:2 დამარცხდნენ.

1983 წელს „შახტარი“ უეფას თასზე შინ „პორტუს“ 1:1 დაუზავდა, ხოლო თასების მფლობელთა თასზე „ბოავიშტასთან“ (1997-98) ასევე ფრე ითამაშა და ორი მატჩის ჯამში 4:3 მოუგო.

ლისაბონის „სპორტინგი“ უკრაინას შარშან ეწვია და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კიევში „დინამო“ 2:1 დაამარცხა. ეს იყო „სპორტინგის“ პირველი შეხვედრა უკრაინულ კლუბთან.

„შახტარმა“ ჩემპიონატში „კრივბასს“ ბრანდაუს დუბლით, სრნას და გლადკის გოლებით 4:2 სძლია, ხოლო „სპორტინგმა“ პორტუგალიის თასზე სტუმრად „ლეირიას“ 1:0 მოუგო.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| შახტარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## D ჯგუფი

## ტორესის ტრავმამ ინტრიგა მოკლა



**ატლეტიკო — ლივერპული**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ატლეტიკო:** კუპე, სეიტარიდისი, პერეა, ჰეიტინგა, ანტონიო ლოპესი, ლუის გარსია, რაულ გარსია, მანიშე, სიმაუ საბროსა, ფორლანი, სინამა-პონგოლი

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, ჰიუპია, დოსენა, ლუკაშ ლეივა, ხაბი ალონსო, ჯერარდი, რიერა, კუიტი, კინი

**მსაჯი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

**პსჟ — მარსელი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პსჟ:** ისაკსონი, მაზა, მარსელისი, სალსიდო, პიეტერსი, სიმონსი, ვუიტენსი, აფელაი, ამრაბატი, ლაზოვიჩი, ძუძაკი

**მარსელი:** მანდანდა, ტაივო, ილტონი, ზუბარი, ბონარი, ზიანი, შეირუ, კანა, ბენ არფა, ნიანგი, კონე

**მსაჯი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

**„ატლეტიკო“ — „ლივერპულის“** მატჩის მთავარი გმირი ფერნანდო ტორესი დღეს ვერ ითამაშებს. „ატლეტიკოს“ ყოფილი და „ლივერპულის“ ამჟამინდელი ფორვარდი ტრავმის გამო სტუმრებს დააკლდება.

„სამაგიეროდ, „ატლეტიკოში“ ორი ლივერპულელი თამაშობს — ლუის გარსია და ფლორან სინამა-პონგოლი.

გარსია პრემიერლიგიდან პრიმერადივიზიონში 2004 წელს გადავიდა. მან „ლივერპულის“ მაისურით სამი სეზონი მოილია და 77 მატჩში 18 გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ ძიუდოს ფედერაციის გენერალურ მდივანს ანზორ მარტყოფიშვილს დავუკავშირდით, რომელმაც ეს გვითხრა: „წინა არჩევნებიდან ოთხი წელი გავიდა და ახალი არჩევნების თარიღი დიდი ხნის წინ იყო დადგენილი. დღესდღეობით, კანდიდატურა მხოლოდ ერთ, მოქმედ პრეზიდენტ დილარ ხაბულიანს აქვს წარმოდგენილი. მის გარდა სხვა კანდიდატი არავინაა. ვისაც სურდა პრეზიდენტობა, რაღაც მიზეზების გამო უკან დაიხიეს. ოღონდ ეს ჩემი სალაპარაკო არ არის, თვითონ თქვან სათქმელი. რაც შეეხება იმ საკითხს, შემოიტანა თუ არა ვინმემ სარეგისტრაციო განცხადება, ამის შესახებ მე ვერაფერს გეტყვით“.

ბუნებრივია, ანზორ მარტყოფიშვილის პასუხის შემდეგ უფრო მეტი კითხვა გაჩნდა. თუნდაც ასეთი: თუ დაგვიმალავენ კიდევ ვის ჰქონდა პრეზიდენტობის სურვილი, ჩვენ როგორ უნდა ვიმარჩიელოთ?

მოკლედ, ლოგიკას მივყევით და ჯერ საქართველოს ძიუდოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს დავუკავშირდით, რომელსაც, ერთ-ერთი ვერსიით, პრეზიდენტობა თავად სურდა.

შოთა ხაბარელი: „როგორც ვიცი, ხვალ ძიუდოს ფედერაციიას ადრევე დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნებია. კანდიდატურა ერთია, მოქმედი პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი. მეტს ვერაფერს გეტყვით“.

ამის შემდეგ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტთან და დღევანდელ არჩევნებში ერთადერთ კანდიდატ დილარ ხაბულიანთან ვცადეთ დაკავშირება. სხვათა შორის დილარ ხაბულიანი ამავდროულად კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია. ხაბულიანის მობილური ტელეფონი დაკავებული იყო და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურს დავუკავშირდით...

— ვიცი, რომ ხვალ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია, ეს ადრევე იყო დაგეგმილი.

— მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი საათის წინ გავიგეთ. არადა, აქამდე ყველა ფედერაცია ერთი თვით ადრე გვატყობინებდა, რომ არჩევნები ან ფედერაციის ყრილობა იყო დანიშნული...

— მესმის, მაგრამ სჯობს, ამაზე თვითონ ძიუდოს ფედერაციას შეეკითხოთ. ჩვენს დეპარტამენტს რაც ევალება, იმას აკეთებს. მოდით ხვალ არჩევნებზე და კითხვები ძიუდოს ფედერაციის უფროსობას დაუსვით...

სპორტის დეპარტამენტთან, თავშივე ვთქვით, საპრეტენზიო მართლაც არაფერი გვაქვს, რაც ევალება, იმას აკეთებს და ყველა ფედერაციას მუშაობის ანბანს ნაღდად ვერ ასწავლის...

...დილარ ხაბულიანის ტელეფონი ისევ დაკავებული იყო და წინა არჩევნებზე მის მთავარ ოპონენტს, ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ხახალეიშვილს ქუთაისში დავუკავშირდით. მით უმეტეს, დავით ხახალეიშვილი ძიუდოს ფედერაციის აღმასკომის წევრია და ხმის მიცემის უფლებაც აქვს.

— ხვალ ძიუდოს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია და კანდიდატი მხოლოდ ერთია — დილარ ხაბულიანი. თქვენ აღარ გსურთ პრეზიდენტობა?

— რა აზრი აქვს კანდიდატურის წამოყენებას?! წინა არჩევნებზე ვცადე ოპონირება, მაგრამ საშინელ უსამართლობას წავაწყდი. ძიუდოს ფედერაციაში დილარ ხაბულიანია გამეფებული და ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტს.

— იცოდით, რომ ხვალ ძიუდოს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები იყო?

— სამი დღის წინ რატომღაც იმერეთის გუბერნატორის სახელზე მოვიდა წერილი, რომ თბილისში ძიუდოს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართებოდა. ამ მოკლე დროში ვერაფერს მოვასწრებდი. ჩვენ, იმერეთის ძიუდოს ფედერაციას, ოთხი ხმის უფლება გვაქვს, აქედან ერთი ჩემი მანდატია, მაგრამ დამიჯერეთ, აზრი არ აქვს. მაინც დილარ ხაბულიანს აირჩევენ და არც ღირს დროის ხარჯვა და ყრილობაზე ჩამოსვლა.

— ბოლო დროს ქართულმა ძიუდომ მართლაც დიდ წარმატებას მიაღწია...

— მესმის, ეს მეც ძალიან მიხარია. მაგრამ ეს წარმატება მხოლოდ ბიჭების და მათი მწვრთნელების დამსახურებაა. ღმერთმა ისინი ნიჭით დააჯილდოვა და ამ ნიჭით მოვდივართ დღემდე. ქართული ძიუდო ამოუწურავი რესურსია და მართებული მუშაობით გაცილებით მეტის მიღწევაც შეიძლება. მაგრამ ერთხელაც ვიმეორებ, რომ დილარ ხაბულიანის ერთმართულ ფედერაციაში წინსვლა არ იქნება.

დავით ხახალეიშვილთან საუბრის შემდეგ თავად დილარ ხაბულიანსაც დავუკავშირდით და მისეული განმარტებაც მოვისმინეთ...

— ხვალ ძიუდოს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები ყოფილა, რომლის შესახებაც ერთი საათის წინ გავიგეთ...

— ეგ ჩემი პრობლემა არ არის, ამაზე ჩვენი იურიდიული და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მუშაობდა...

— და როდის გადაწყდა, რომ არჩევნები ხვალ უნდა ჩატარებულიყო?

— ეს დიდი ხნის წინ იყო. ზუსტი თარიღი არ მახსოვს, თუმცერთი თვის წინ სათანადო განცხადება, თუ არ ვცდები, „ლელოში“, „24 საათში“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ მივეცით.

— სხვა გაზეთებმა და მათმა მკითხველმა რა დააშავეს? თან ჩვენ სპორტული ფედერაციის ყრილობების ან საპრეზიდენტო არჩევნების თარიღებს მუდმივად ვბეჭდავთ...

— რა ვიცი, ეგ მე არ მაინტერესებს...

— როგორც ვიცით, თქვენს გარდა სხვებსაც სურდათ კანდიდატურის წამოყენება. ხომ ვერ გვეტყვით, ვინ იყვნენ ისინი?

— არ ვიცი, განცხადება არავის შემოუტანია და შესაბამისად, არავის გაუტანია. სურვილი არავის გაჩენია და მე რა შუაში ვარ?

— ესე იგი, საზოგადოების ინფორმირების წესები არ დარღვეულა?

— არა, არ დარღვეულა...

ჩვენ კი ერთხელაც დავძენთ: ახლახან იყო, ჩვენმა ძიუდოს ნაკრებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი რომ მოიგო. საამტურნიროდ ჩვენი ნაკრები ბორჯომში გადიოდა შეკრებას და ერთი დღით რიგაში კომერციულ ტურნირზე საჭიდაოდ წავიდნენ. მაშინ ეს ფაქტი ძიუდოს ფედერაციაში დაგვიმალეს, აქაოდა, დასაძრახია, ჩვენები კომერციულ ტურნირებზე რომ დადიანო, მერე კი ყველაფერი გაუგებრობას დაბრალდა, თუმც გამართლება ეს ვერანაირად იქნება. სხვათა შორის, იმ ტურნირის შესახებ ლატვიური, უკრაინული და რუსული ვებ-გვერდები აჭრელდნენ. წერდნენ, რომ ქართველებმა მთელ მსოფლიოს მასტერ-კლასი ჩაუტარეს. თანაც ინტერნეტის ხანაში ბევრსაც ვერაფერს დამალავ...

ისე, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა შენგელი ფიცხელაურმა ამას წინათ პრესკონფერენციაზე სპორტულ ჟურნალისტებს გვისაყვედურა, ძიუდოს პოპულარიზაციას სათანადოდ არ ეწევითო...

**ბაჩო სვანიძე**


ანზორ მარტყოფიშვილი


შოთა ხაბარელი



# რუსთაველმა სუმიში ევრო ვერ იცეკვა

**სუმიხიმპრომი 90:79 ენერჯი**
**19:21 19:18 22:14 30:26**

**სუხიმპრომი:** სანტე (20), გრინი (20), ლემიკი (3), კუსო (8), გრიფინი (8), მატიუკევიჩი (12), პოდორვანი (8), ლევკევიჩუსი (4), ბუციკი (7)
**ენერჯი-ინვესტი:** ლაშა გამყრელიძე (2), ზვიად ბაბიაშვილი (15), პოლ მაკფერსონი (7), ბესო ლეჟავა (5), გოგა ცეკვავა (20), კოტე ტუღუში (8), დათო უგრეხელიძე (8), ნიკოლა რადოიჩიჩი (10), ჟულივეტ ტუჟანი (4)

**გუშინ** „ენერჯი-ინვესტმა" უკრაინაში ფიბა-ევროთასის საპასუხო შეხვედრა გამართა. ჩვენებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე თბილისურ მატჩში, მაგრამ სამწუხაროდ, მათ მაინც არ ეყოთ გამოცდილება ამ შეხვედრის მოსაგებად.

ჩვენებს ენერგია მხოლოდ ორი მეოთხედი და მესამე მეოთხედის რვა წუთი ეყოთ, ამის მერე კი უკვე უკრაინელები ათამაშდნენ და რუსთაველები მეტოქეს ვეღარ გაუძალიანდნენ.

საქართველოს ჩემპიონის შემადგენლობაში ლიდერობა ისეთმა კალათბურთელმა იტვირთა, ვისგანაც ამას საერთოდ არავინ მოელოდა, ეს იყო გოგა ცეკვავა, რომელმაც ორმაგი დუბლიც კი გააკეთა — 20 ქულა და 10 მოხსნა. მისი მხრიდან საუკეთესო მომხსნელობა მართლაც საკვირველია.

სამწუხაროდ, ამ წაგების მთავარ მიზეზად ალბათ ისევ მოხსნებაზე ინერტული თამაში უნდა მივიჩნიოთ, ამ კომპონენტში მეტოქემ 45:29 გვაჯობა და რაც მთავარია, ჩვენს ფარზე 18-ჯერ მოხსნეს ბურთი, ამ დროს რუსთაველებს საკუთარ ფარზე 19 მოხსნა ჰქონდათ.

დანარჩენ ვერც ერთ სტატისტიკურ მონაცემში უკრაინელებს განსაკუთრებული უპირატესობა არ ჰქონიათ.

ერთხელაც ვთქვათ, რომ ქართული გუნდი ზედ სეზონის დაწყების წინ შეიკრიბა, სრულფასოვანი მომზადება არ გაუვლია და შესაბამისად, შეუთამაშებლობის და ფიზიკური მომზადების მხრივ სერიოზული პრობლემები ჰქონდა.

რუსთაველთა ბოლო დღეებში ჩამოყვანილი სამი ლეგიონერიდან — რადოიჩიჩი, მაკფერსონი, ვუკადინოვიჩი — უკრაინულ შეხვედრაში მხოლოდ პირველმა ორმა ითამაშა. მათგანაც გაცილებით უკეთ სერბი გაისარჯა. „გაპიარებულმა" ამერიკელმა კვლავ ძალიან სუსტად ითამაშა.

**გიორგი არაბული**

# ფაჩულია ჰოვარდის ჩრდილქვეშ

**ატლანტა 103:109 ორლანდო**

ზაზა ფაჩულიამ, რამდენიმე კარგად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, გუშინ აშკარად ჩააგდო მატჩი, რომელშიც მის პირველ ამერიკულ გუნდს „ორლანდო მეჯიქს" დაუპირისპირდა.

წინა ორი შეხვედრის მსგავსად, ქართველი ცენტრი ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში დააყენა მაიკ ვუდსონმა, თუმც წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად გაცილებით ნაკლები სათამაშო დრო მისცა.

ეს ყველაფერი შემდგომში ჩვენი კალათბურთელის თამაშის ხარისხზეც აისახა. ის, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ძალიან მონდომებული იყო თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ, მაგრამ თამაში არ წაუვიდა.

ამაში ძალიან დიდი როლი შეასრულა იმანაც, რომ უმაღლეს დონეზე ითამაშა ორლანდოელთა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ცენტრმა დუაიტ ჰოვარდმა. ამ კალათბურთელმა ფაჩულიაც და ელ ჰორფორდიც დაჩაგრა. მართალია, ამ უკანასკნელს ორმაგი დუბლი ჰქონდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მთელი მატჩის მსვლელობისას ვერ აჩერებდა ჰოვარდს.

გუშინდელი შეხვედრა „ქორებისთვის" ნბა-ს წინასასეზონო, მეშვიდე მატჩი იყო. ჯორჯიელებს ახლა ოთხი მოგება და სამი წაგება აქვთ. მათ კიდევ ერთი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე.

ბოლო საგამოფენო მატჩში ფაჩულიასა და მისი



ზაზა ფაჩულია დუაიტ ჰოვარდის წინააღმდეგ

გუნდის მეტოქე „დეტროიტ პისტონზი" იქნება. ამის შემდეგ კი, უკვე 29 ოქრომბერს, რეგულარულიც დაიწყება და ჯორჯიელებს პირველ მატჩში „ორლანდო მეჯიქი" შეხვდება.

**გიორგი არაბული**

# ბათუმმა სუპერლიგის კალენდარი გადაავადა

საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგა გასულ პარასკევს დაიწყო. ოფიციალურად, კვირას გაიხსნა, სრული კალენდარი კი ორშაბათსღა შედგა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ „ბათუმმა" ბოლო მომენტში გააკეთა განაცხადი ჩემპიონატში მონაწილეობის შესახებ.

შესაბამისად, კალათბურთის ფედერაციაში იძულებულები გახდნენ, წინასწარ შედგენილი კალენდარი თავიდან შეედგინათ, რომელშიც უკვე ყველაფერი თავიდან ბოლომდე გაიწერა.

უკვე გარკვეულია, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის თარიღი. პარასკევს, 17 ოქტომბერს დაწყებული, 2009 წლის 29 მარტს დასრულდება. ამის შემდეგ გაიმართება „ყველა ვარსკვლავის" შეხვედრა, რის მერეც პლეი ოფი გაჩაღდება.

## სუპერლიგა 2008-2009

### I წრე

**17.10.08 (პარასკევი)**
ენერჯი — სსსუ 17.00

**19.10.08 (კვირა)**
შსს — მაკაბი 12.00
თსუ — დინამო 14.00
ავიამშენი — ნტდ 16.15

**26.10.08 (კვირა)**
მაკაბი — დინამო 12.15
ავიამშენი — ბათუმი 14.15
თსუ — სსსუ 16.15
შსს — ნტდ 18.15

**31.10.08 (პარასკევი)**
ენერჯი — შსს 15.00
ბათუმი — მაკაბი 18.00

**2.11.08 (კვირა)**
სსსუ — დინამო 14.15
ავიამშენი — თსუ 16.15

**9.11.08 (კვირა)**
მაკაბი — სსსუ 12.15
შსს — ბათუმი 14.15
თსუ — ენერჯი 16.15
დინამო — ნტდ 18.15

**14.11.08 (პარასკევი)**
ენერჯი — დინამო 15.00
ბათუმი — ნტდ 18.00

**16.11.08 (კვირა)**
ავიამშენი — მაკაბი 14.15
თსუ — შსს 16.15

**23.11.08 (კვირა)**
თსუ — მაკაბი 12.15
სსსუ — ბათუმი 14.15
დინამო — ავიამშენი 16.15
ნტდ — ენერჯი 18.15

**28.11.08 (პარასკევი)**
ენერჯი — ავიამშენი 15.00
ბათუმი — თსუ 18.00

**30.11.08 (კვირა)**
სსსუ — შსს 14.15
ნტდ — მაკაბი 16.15

**7.12.08 (კვირა)**
მაკაბი — ენერჯი 12.15
დინამო — ბათუმი 14.15
ნტდ — სსსუ 16.15
შსს — ავიამშენი 18.15

**12.12.08 (პარასკევი)**
ბათუმი — ენერჯი 18.00

**14.12.08 (კვირა)**
დინამო — შსს 12.15
ნტდ — თსუ 14.15
სსსუ — ავიამშენი 16.15

### II წრე

**1.02.09 (კვირა)**
მაკაბი — შსს 12.15
დინამო — თსუ 14.15
სსსუ — ენერჯი 16.15
ნტდ — ავიამშენი 18.15

**6.02.09 (პარასკევი)**
ბათუმი — ავიამშენი 18.00

**8.02.09 (კვირა)**
დინამო — მაკაბი 12.15
ნტდ — შსს 14.15
სსსუ — თსუ 16.15

**15.02.09 (კვირა)**
შსს — ენერჯი 12.15
მაკაბი — ბათუმი 14.15
თსუ — ავიამშენი 16.15
დინამო — სსსუ 18.15

**20.02.09 (პარასკევი)**
ენერჯი — თსუ 15.00
ბათუმი — შსს 18.00

**22.02.09 (კვირა)**
სსსუ — მაკაბი 14.15
ნტდ — დინამო 16.15

**1.03.09 (კვირა)**
შსს — თსუ 12.15
ნტდ — ბათუმი 14.15
დინამო — ენერჯი 16.15
მაკაბი — ავიამშენი 18.15

**6.03.09 (პარასკევი)**
ენერჯი — ნტდ 15.00
ბათუმი — სსუ 18.00

**8.03.09 (კვირა)**
მაკაბი — თსუ 14.15
ავიამშენი — დინამო 16.15

**15.03.09 (კვირა)**
მაკაბი — ნტდ 12.15
თსუ — ბათუმი 14.15
ავიამშენი — ენერჯი 16.15
შსს — სსსუ 18.15

**20.03.09 (პარასკევი)**
ენერჯი — მაკაბი 15.00
ბათუმი — დინამო 18.00

**23.03.09 (კვირა)**
ავიამშენი — შსს 14.15
სსსუ — ნტდ 16.15

**27.03.09 (პარასკევი)**
ენერჯი — ბათუმი 15.00

**29.03.09 (კვირა)**
შსს — დინამო 12.15
თსუ — ნტდ 14.15
ავიამშენი — სსსუ 16.15

**მეოთხედფინალი**
9-10, 12 აპრილი

**ნახევარფინალი**
26-27, 29-30 აპრილი, 3 მაისი

**ფინალი**
9-10, 12,13, 15 მაისი

**საკანდელიძისა და ქორქიას მემორიალი**
20-24 დეკემბერი

**საქართველოს თასი**
22-25 იანვარი

**ყველა ვარსკვლავის მატჩი**
5 აპრილი

**ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი**
24 მაისი


ბაი ქსუე

# გოგონა უძახე და...
## კენიელების წინ მორბენალი ჩინელი სხვა ჩინელმაც შეჭამა

**ახლახანს** ოლიმპიადაგადატანილი პეკინი მთლად იდეალური ადგილი ვერაა მარათონული რბენის გასამართავად, რადგან ჰაერის დაბინძურებით ერთ-ერთი „მოწინავეა“ მსოფლიოს დიდ ქალაქებში, თუმცაღა მგლის შიშით ცხვარს არც ჩინელები გაწყვეტავენ და მათ ამ უქმეებზე საკმაოდ წარმომადგენლობითი მსოფლიო დონის მარათონიც ჩაატარეს.

ჩინეთის დედაქალაქის ცენტრალურ, ტიანანმენის სახელობის მოედანს, რომელიც სხვათა შორის ურბანისტიკულ მოედნებში მსოფლიოში უდიდესია, ყოველდღიურად ათასობით ქვეითი ტურისტი სერავს, მაგრამ ამ კვირა-დილით ის დაკეტილი იყო უბრალო გამვლელთათვის, რადგან მარათონმა სტარტი სწორედ აქედან აიღო.

კაცთა შორის აშკარა ფავორიტები იყვნენ კენიელები, რომლებიც ბუნებისგან ბოძებული გამძლეობის წყალობით მსოფლიოში საუკეთესო მარათონელებად ჩამოყალიბდნენ და გარბენების აბსოლიტურ უმრავლესობას იგებენ. ეგაა მსოფლიო რეკორდსმენი კენიელი კი არა ეთიოპიელი ჰაილე გებრსელასიე გახლავთ, რომელმაც, ამ ერთხელაც აღვნიშნოთ და, ოლიმპიადის დროს პეკინის ქუჩებში სირბილი იუარა და რა გასაკვირია, რომ ახლა ჩასულიყო ქიმიური და ცემენტის ქარხნების გამონაბოლქვის საყლაპავად. თუმც გამოცდილი მორბენლები მაინც არ აკლდა ამ მარათონს.

ჰაერის სისუფთავისა რა მოგახსენოთ და, ამინდი კი გადასარევი შეხვდათ. 15 გრადუსი სითბო იდგა — არც ცხელოდა და არც ციოდა. სტარტის ნიშანი დილის 8 საათზე გაისმა და ერთ საათში, ანუ დისტანციის ნახევრის გარბენისას გამარჯვების პრეტენზია 9 მორბენალსღა შერჩენოდა. ძალიან აქტიურობდა ჩინელი რენ ლონგუნი, რომელიც გრძნობდა, რომ აღმოსავლეთაფრიკელთა ჰეგემონობის დასამხობად საკმარისი ძალა შესწევდა და ერთბაშად მოინდომა კვანძის გახსნა, როდესაც 32-ე კილომეტრზე ლიდერთა ჯგუფს ქვა მიაგორა და თავად ისეააჩქარა ფეხი, თითქოს ფინიშამდე 10 კილომეტრი კი არა 100 მეტრი დარჩენილიყო. სამშობლოს დედაქალაქში სახელოვანი გამარჯვების მსურველმა ამბიციურმა, მაგრამ არცთუ გამოცდილმა ჩინელმა ყველაფერი მოინდომა, მაგრამ საბოლოოდ არაფერიც არ შეხვდა. მის უკან დარჩენილმა კენიურმა ტრიომ (ბენიამინ კიპტოო, ლუკა ჩელიმო, საიმონ ვანგაი) ცოტა აცადა ჩინელს, მერე კი კვალში ჩაუდგა ეულ ლტოლვილს, რომელმაც აშკარად ვერ გათვალა საკუთარი შესაძლებლობები და მალე ჩამორჩა კენიელებსაც, თანაც ამ სტაიერულმა სპრინტმა ისე გაასავათა, რომ ბოლო კილომეტრებზე სხვებმაც გაასწრეს და საბოლოოდ პირველობის მოსურნეს მხოლოდ მეშვიდე ადგილი შეხვდა გამარჯვებულთან ოთხწუთიანი ჩამორჩენით. ის ჩინელთა შორისაც კი ვერ გახდა საუკეთესო — ჩენ ვეიმაც გაასწრო (მეექვსე ადგილი).

გამარჯვება კი მოწინავე სამ კენიელს შორის ყველაზე აქტიურს შეხვდა. ბენიამინ კიპტოომ ლონგუნის დევნაში სიჩქარის მთავარი მარეგულირებლის როლი შეასრულა. ჩინელს რომ გაასწრეს, მან და ჩელიმომ მალევე, ფინიშამდე ასე 3 კილომეტრით ადრე ჩამოიტოვეს ტრიოს მესამე წევრი, გადაღლილი ვანგაი და ორ კაცში გამართული გადამწყვეტი შეჯიბრში პირველობა კიპტოოს დარჩა, ვინაც 16 წამით აჯობა ჩელიმოს. მიუხედავად ასეთი საინტერესო რბენისა და ფულადი სტიმულირებისა (ორგანიზატორება კარგი შედეგებისთვის სოლიდური ბონუსები დააწესეს) დამარჯვებულის დრო არ იყო მაღალი — კიპტოომ ფინიშს 2 საათში, 10 წუთსა და 14 წამში უწია.

ჩინელ კაცებს ხელი კი მოეცარათ, მაგრამ სამაგიეროდ მასპინძელმა ქალებმა იყოჩაღეს. აქაც მრავლად იყვნენ კენიელები და სხვა ქვეყნების წარმომადგენელი გამოცდილი მარათონელი ქალებიც, რომელთა შორისაც კარგა 40 კილომეტრი მიდიოდა პირველობისთვის ტაქტიკური ბრძოლა, მაგრამ ფინიშის გასწვრივ შეჯარული ათასობით პეკინელის გასახარად პირველი სამი ადგილი ადგილობრივ გოგონებს შეხვდათ. გამძლეობაში ყველას აჯობა 19 წლის გოგონამ, ბაი ქსუემ, რომელიც აქამდე 10 000 მეტრზე დარბოდა და ამ დისტანციაზე ოლიმპიადაზეც გამოვიდა, ოღონდ იქ მხოლოდ 21-ე ადგილი შეხვდა და ახლა ამ გამარჯვებით დიდად გააკვირვა სპეციალისტები. ჩანს ამ გოგონამ იპოვა თავისი გზა და აწი ძირითადად მარათონებზე გადაერთვება, მით უფრო რომ მისი შედეგი 2:26.27 საკმაოდ სოლიდურია და ჩინურ სამძლეოსნო სკოლას შეუძლია იამაყოს იმით, რომ კიდევ ერთი კარგი მარათონელი ეზრდება კი არა და, უკვე გაეზარდა კიდეც.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ამსტერდამიც კენიაა

**კენიელ** მარათონელთა დიდი ნაწილი ჩინეთში გახლდათ, მაგრამ ამ უნიკალური ქვეყნის უგრძეს დისტანციაზე მორბენალთა არმიამ მაინც შეძლო დედამიწის სულ სხვა წერტილში კიდევ ერთი მძლავრი დესანტის გადასხმა.

კენიელები არ აკლდა ამსტერდამის მარათონსაც, რომელიც თავისი შემადგენლობითა და აქედან გამომდინარე შედეგებით მთლად საუკეთესოთა შორის ვერ დგას, თუმც სოლიდურობა და ყურადღება ნამდვილად არ აკლია და თუ არ ჯობს, არც ოდნავ ჩამოუვარდება ჰოლანდიის ორ სხვა მსხვილ გარბენს — როტერდამისას და ეინდჰოვენისას. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ამ ერთი კვირის წინ ჩატარდა.

მორბენლებმა სტარტიდანვე ჩქარი ტემპი აკრიფეს, კარგი პეისმეიკერების წყალობით მელევე ჩამოიცილეს ბალასტი და დაახლოებით ოცკაციანი მოიერიშე ჯგუფი შექმნეს, რომელმაც პირველი 5 კილომეტრი იოლად ჩაატია 15 წუთში და დისტანციის ეკვატორი, ანუ 21,1-კილომეტრიანი ნიშნული საათსა და სამნახევარ წუთში გადაკვეთა. მერე კი თავი იჩინა დაღლილობამ, ყველამ ვერ გაუძლო ასეთ სიჩქარეს და 35 კილომეტრის შემდეგ ხუთი კაციღა დარჩა იერიშის ავანგარდში. კიდევ ხუთი კილომეტრიც და საჩემპიონო ამბიცია მხოლოდ ერთ კენიელს, პოლ კირუის შერჩა, ვინაც 40 კილომეტრი 2:01.16 დროში მოილია და ბოლო ორი საფინიშო კილომეტრიც წინაშე მარტო დარჩა.



მაგრამ ჰოი საოცრებავ, კენიელს მოულოდნელად მიუახლოვდა ყველასთვის უცნობი ეთიოპიელი ჩალა დეჩასე, რომელიც 20-კაციან საიერიშო ჯგუფშიც კი არ გახლდათ და შუა დისტანციაზე არც მეტი არც ნაკლები 14 წუთს აგებდა ამათთან, მაგრამ 42-კილომეტრიანი გზის მეორე ნახევარი არანორმალურად სწრაფად ირბინა და ბოლო კილომეტრებზე ლამის წამოეწია კირუის. მართალია მისი გადასწრება ველარ მოასწრო — კირუიმ ფინიში 2:07.52 შედეგით გადაკვეთა, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ დეჩასემ 14-წუთიანი ჩამორჩენიდან 13 გაქვითა და გამარჯვებულს სულ რაღაც 41 წამით ჩამორჩა, ამ მარათონის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი დაჩრდილა.

ქალებშიც კენიელს შეხვდა გამარჯვება, ამასთან 2:25.57 შედეგით მომგებმა ლინდა ჩეროშეიმ მინი-სასწაული მოხდინა, მოიგო თავისი პირველი სრული მარათონული გარბენი, თანაც მეორე ადგილზე გასულ ეთიოპელ ადენეჩ ზეკიროსს ოთხ წუთზე მეტით მაასწრო.




დერონ უილიამსი

# ბარსელონას თითქმის

**ამერიკულ** და ევროპულ კალათბურთს შორის დონეები რომ წლიდან წლამდე თანაბრდება, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა ესპანურმა „ბარსელონამ,“ რომელიც ამ უქმეებზე ლოს ანჯელესში გახლდათ და საგამოფენო მატჩებში რიგრიგობით ეთამაშა ადგილობრივ გუნდებს — „ლეიკერსსა“ და „კლიპერსს“ და მიუხედავად იმისა, რომ ორივესთან დამარცხდა, შთაბეჭდილება მაინც შესანიშნავი დაუტოვა მრავლისმნახველ ლოსანჯელესურ პუბლიკას.

„ბარსელონა“ და „ლეიკერსი“ შაბათს შეიბნენ და ამ შეხვედრაში გაიბრწყინა ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ხუან-კარლოს ნავარომ, ვინაც გასული სეზონი „მემფის გრიზლიზში“ გაატარა, მერე კი მშობლიურ „ბარსელონაში“ მიბრუნდა. ნავარომ „ლეიკერსს“ შავი დღე აყარა, 34 ქულა ჩაუგდო და მის გუნდს სულ ცოტა დააკლდა მოსაგებად — საბოლოოდ 108:104 ნბა-ს გუნდის სასარგებლოდ.

„კლიპერსთან“ შეხვედრაც არანაკლებ დაძაბული გამოვიდა, მართალია ლოსანჯელესელებს აკლდათ ორი სუპერვარსკვლავი — ბაირონ დევისი და მარკუს კემბი, თუმც მათ გამარჯვებისკენ ალ ტორნტონი გაუძღვა, ვინაც 23 ქულა და 11 მოხსნა გაახერხა. ახალბედა ერიკ გორდონმა კი თავისი 17 ქულიდან 12 ბოლო მეოთხედში ჩაუგდო „ბარსელონას“ და „კლიპერსს“ 114:109 მოაგებინა. დამარცხებულთა შორის გამოირჩნენ თურქი ელიას ილიასოვა, (20 ქულა), რომელსაც ასევე აქვს ნბა-ში თამაშის გამოცდილება, და სლოვენიელი იაკა ლაკოკიჩი (19 ქულა). ნავარომ ამ ჯერზე 11 ქულა იკმარა.

დუაიტ ჰოვარდის (26 ქულა, 16 მოხსნა), „ორლანდომ“ მორიგი მარცხი აგემა დუეინ ვეიდის (29 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა, 6 ჩაჭრა) „მაიამის“, ვისაც ამ საგამოფენო პერიოდში ერთხელაც არ მოუგია, წაგება კი ოთხი მოუგროვდა.

ასევე გაუხარელია „ჩიკაგოც“, ვინაც კვირას „იუტასთან“ კი მოინდომა, მაგრამ მაინც 80:88 დამარცხდა. „იუტას“ კი სულაც არ გახარებია ეს გამარჯვება — „ჯაზმენებს“ პირველივე მეოთხედში დაემტერათ სუპერგამთამაშებელი, პეკინში ოლიმპიური ოქროს მომგები გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი დერონ უილიამსი, რომლის გარეშეც, „იუტა“ აშკარად ველარ იქნება ნბა-ს რისხვა. ექიმებს ჯერ არ უთქვამთ, რამდენი ხნით ვერ შეძლებს უილიამსი თამაშს და იქნება თუ არა მწყობრში 28 ოქტომბრისთვის, როცა რეგულარული სეზონი გაიხსნება.

**ირაკლი ფირაშვილი**

ველორბოლა

# სეზონი კუნეგომ დახურა


დამიანო კუნეგო

**2008 წლის** ველოსეზონის ბოლო მნიშვნელოვანი რბოლა, ერთდღიანი იტალიური კლასიკა „ჯირო ლომბარდია“ შეჯიბრის მასპინძლის დამიანო კუნეგოს გამარჯვებით დასრულდა.

იტალიური „ლამპრეს“ 27 წლის მრბოლმა 242-კილომეტრიანი დისტანციას ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე შეუტია და ეს იერიში წარმატებული გამოდგა.

ლომბარდიული გზის ბოლო აღმართში კუნეგოს ველარავინ ჩაუდგა კვალში და შედეგად, დამიანოს არ გასჭირვებია შარშან მოპოვებული ტიტულის შენარჩუნება. სულ კი ეს მისი მესამე ლომბარდიული გამარჯვება იყო — სულ პირველად 2004 წელს იმარჯვა.

კუნეგომ 24 წამით გაუსწრო უახლოეს მდევრებს, ასეთები კი ორნი იყვნენ — სლოვენიელი ჯანეზ ბრაიკოვიჩი და კოლუმბიელი რიგობერტო ურანი. კიდევ 9 წამის შემდეგ ფინიშს 17-კაციანმა ჯგუფმა უწია, რომელშიც ისეთი ცნობილი მრბოლებიც იყვნენ, როგორებიც ალესანდრო ბალანი და სტეფანო გარძელი არიან.

როგორც ვთქვით, „ჯირო ლომბარდიათი“, ფაქტობრივად, დაიხურა წლევანდელი ველოსეზონი. 2009 წლის სეზონი კი 20-25 იანვარს ავსტრალიაში, ექსსეტაპა „ტურ დაუნ ანდერით“ და დიადი ლენს არმსტრონგის დაბრუნებით გაიხსნება.

# ბასო იაპონიით იწყებს

**26 ოქტომბერს** გასამართი იაპონიის თასი მესამეხარისხოვანი ველოშეჯიბრია, მაგრამ წლეულს ეს რბოლა გამორჩეული იქნება, რადგანაც ორწლიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ კარიერას, სწორედ იაპონიაში განაახლებს 2006 წლის „ჯირო დიტალიას“ ტრიუმფატორი ივან ბასო.

ბასოს დისკვალიფიკაცია სკანდალურად ცნობილ ესპანელ ექიმ ეუფემიანო პუენტესთან კავშირის გამო მისცეს და სხვა მრავალ მრბოლთან, მათ შორის იან ულრიხთან ერთად, 2006 წლის „ტურ დე ფრანსის“ დაწყების წინა დღეს მოკვეთეს ველოსპორტიდან. არადა, მაშინ „ტურის“ უმთავრეს ფავორიტებად, სწორედ ბასო და ულრიხი ითვლებოდნენ.

ახლა იტალიელმა სასჯელი უკვე მოიხადა, ველოგუნდ „ლიქუიგასთანაც“ გააფორმა კონტრაქტი და იაპონური რბოლის წინ თავის გრძნობებზეც ისაუბრა ჟურნალისტებთან.


ივან ბასომ „ლიქუიგასის“ ფორმა მოირგო

„ჩემი საქციელის გამო ყველაფერი ვზღე და ახლა ერთგვარ სიმშვიდეს განვიცდი. რა თქმა უნდა, გარკვეული დისკომფორტის გრძნობა ერთხანს კიდევ მექნება, მაგრამ ვთვლი, რომ რაც დანაშაული მქონდა, ამ ორწლიანი დისკვალიფიკაციით ყველაფერი ჩამოვიწმინდე — განაცხადა ბასომ და დაამატა — ძალიან რთული პერიოდი გადავიტანე, თითქმის მთელი წელი ვიტანჯებოდი დანაშაულის შეგრძნებით, მაგრამ შემდეგ, ისევ ველოსიპედს დავუმეგობრდი. ახლა ბედნიერი ვარ, რომ ისევ მაქვს რბოლებში მონაწილეობის უფლება და შევეცდები დავამტკიცო, რომ აკრძალულ პრეპარატებს არც ადრე ვიღებდი. ყველაფერი, რაზეც 2006 წელს ვოცნებობდი, ისევ ჩემთანაა. ისევ მსურს „ჯიროს“ ლიდერის ვარდისფერი მაისურის მორგება. ეს ადვილი არ იქნება, მით უმეტეს, რომ თვით ლენს არმსტრონგმა გამოთქვა იტალიურ სუპერრბოლაში მონაწილეობის სურვილი“.

სავარაუდოდ, ივან ბასო გაისად აქცენტს, სწორედ „ჯირო დიტალიაზე“ გააკეთებს და „ტურ დე ფრანსის“ დაპყრობას კი ცოტა მოგვიანებით, 2010 წელს შეეცდება.

# კონტადორის სადარდებელი: ჯერ არმსტრონგი, ახლა ვინო

**ყაზახური** ფულითა და ბელგიელი მენეჯერის იოჰან ბრიუნელის ჭკუით გაკეთებული „ასტანა“ გაისად ერთგვარი ველო-დრიმ თიმი იქნება.

თავად განსაჯეთ — გუნდის ლიდერი ესპანელი ალბერტო კონტადორია, შარშანდელი „ტურისა“ და წლევანდელი „ჯიროსა“ და „ვუელტას“ ტრიუმფატორი. მის გარდა გუნდში ირიცხებიან ისეთი ელიტარული მრბოლები, როგორებიც ამერიკელი ლევი ლეიფჰაიმერი და გერმანელი ანდრეას კლოდენი არიან და ახლა, როდესაც დიადმა ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა ველოსპორტში დაბრუნება გადაწყვიტა, მანაც „ასტანას“ უფრო სწორად კი ბრიუნელს მიაშურა, ვისთანაც წლების მანძილზე თანამშრომლობდა „დისქავერიში“. ამ ყველას კი ალექსანდრ ვინოკუროვიც დაემატა — ყაზახს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და „ასტანა“ ჩემი გუნდია, ის სწორედ ჩემთვის შეიქმნა და რახან დაბრუნება გადავწყვიტე, სწორედ ამ გუნდში უნდა დავბრუნდეო.

ეს ყველაფერი, არ შეიძლება არ აღელვებდეს კონტადორს, ვინც „ასტანას“ უპირობო ლიდერად ითვლებოდა, ახლა კი...

„ვინოკუროვმა სასჯელი მოიხადა და ველოსპორტში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ აქ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა — ხომ შეიძლება, მის გამო „ტურის“ ორგანიზატორებმა ისევ უარი უთხრან „ასტანას“ — განაცხადა ალბერტომ და დაამატა — პირადად ალექსანდრთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს და არანაირად არავარ პიროვნულად მისი წინააღმდეგი, მაგრამ...“

არმსტრონგთან დაკავშირებით კონტადორი სხვანაირად ფიქრობს: „ლენსთანაც ნორმალური ურთიერთობა მაქვს, თუმცა აქ განსაკუთრებული სიტუაცია შეიძლება მივიღოთ, როდესაც ერთი გუნდის ორი მრბოლი იბრძოლებს „ტურის“ მოსაგებად. იმედი მაქვს, უკვე იანვარში იოჰან ბრიუნელი გუნდის ლიდერს ოფიციალურად დაასახელებს.

არმსტრონგს გაუჭირდება „ჯიროს“ მოგება. მას დიდი ხანია, შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა, როდესაც ის თავის პიკზეა, მისი ჯობნა ძალიან ძნელია“.

რაც შეეხება საკუთარ თავს, კონტადორი არ გამორიცხავს, რომ მომავალში გუნდი შეიცვალოს. „ვნახოთ, როგორ დაიწყება 2009 წლის სეზონი. ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია და მოცდას ვამჯობინებ“ — ბრძანა ალბერტომ, ვინც გაისად „ტურის“ გარდა „პარიზი-ნიცაზე“, „ბასკების ქვეყნის ვუელტაზე“, „კასტილიისა და ლეონის ვუელტაზე“ და „ვალენსიის ვუელტაზე“ აპირებს გამოსვლას.

ჰოკეი


ტომაშ ვანეკმა 56 მილიონის გამართლება დაიწყო

# საზიზღარი ჩემპიონი

**ნჰლ**-ის რიგით 91-ე სეზონი ნელ-ნელა ხურდება და გუნდებიც თანდათან იწყებენ იმ თამაშის ჩვენებას, როგორსაც მათგან მოელოდნენ. თუმც უმეტესობას ისევ გრძელი გზა უდევს წინ სანამ საკუთარ პოტენციალს ბოლომდე გამოავლენს.

იმის ფონზე, რომ გუნდებმა ჯერჯერობით მხოლოდ 5-6 მატჩის ჩატარება მოასწრეს, რაიმე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება ნაადრევიც იქნება და გვარიანი სისულელეც, მაგრამ რამდენიმე დაკვირვება რომ გაგანდოთ, არაფერი დაშავდება.

სეზონის სტარტის უმთავრესი იმედგაცრუება უდავოდ შარშანწინდელი ჩემპიონი „ანაჰაიმია“, რომელიც ჯერჯერობით საზიზღრად გამოიყურება. „იხვებისგან“ ძველებურ ფრენას არც ელოდნენ, მაგრამ იმის წარმოდგენაც კი ჭირდა, რომ პირველი ექვსი მატჩიდან კალიფორნიელები ხუთს წააგებდნენ.

აღმოსავლეთში კი ამ მხრივ „ტამპა“ და „ფილადელფია“ „გამოირჩნენ“ — გამარჯვების გემო ჯერ ერთსაც არ უგემია. თუ პირველისგან ასეთი თამაში მოსალოდნელიც იყო, ცოტა თუ წარმოიდგენდა, „მფრინავების“ ამდენად უკბილო თამაშს.

სამაგიეროდ, კარგად დაიწყეს სეზონი „მინესოტამ“ და „ედმონტონმა“, რომელთაც ჯერ ერთხელაც არ წაუგიათ. აღმოსავლეთში კი „მონრეალი“ გამოირჩევა — გუნდმა თავიდანვე საფირმო უსწრაფესი ჰოკეი გააჩაღა და ამით საქმით დაამტკიცა სეზონის წინ გაცხადებული ამბიცია იმის შესახებ, რომ წლეულს ისინი სტენლის თასისთვის ბრძოლას გეგმავენ.

ახლა კი გუნდებს თავი დავანებოთ და ცალკეულ ჰოკეისტებზე გადავიდეთ: ვარსკვლავებზე, რომლებიც ლიგის სახეს წარმოადგენენ. სახარბიელო მდგომარეობა არც ამ ფრონტზეა, რადგანაც საუკეთესო ფორმისგან შორს არიან ბოლო წლების ბომბარდირები — ალექსანდრ ოვეჩკინი და სიდნი კროსბი.

რუსი გოლეადორის ანგარიშზე, რომელმაც შარშან 60-შაიბიანი ბარიერი დაძლია, პირველ ექვს თამაშში მხოლოდ ორი გოლია. ვერც კროსბი ჩაუქობს, მაგრამ ამ უქმეებზე „ტორონტოსთან“ სიდმა სამი ქულა დააგროვა (1+2) და ერთბაშად სამ მნიშვნელოვან თამასას უწია — გატანილი შაიბა კროსბისთვის მესასე გამოდგა. გარდა ამისა, კანადელმა ვუნდერკინდმა მე-200 შედეგიანი გადაცემა გააკეთა და ნჰლ-ში თავისი კარიერული მონაგარი 300 ქულამდე აიყვანა.

სულ ბოლოს კი გასული კვირის ვარსკვლავებზე მოგახსენებთ.

პირველი: გასული შეიდდღეულის საუკეთესო მოთამაშედ „ბუფალოელი“ ტომაშ ვანეკი იქცა, რომელმაც 8 ქულა (6+2) მოიხვეჭა, მისმა გუნდმა კი 4-დან სამ შეხვედრაში იხეირა. ჩეხური წარმოშობის, მაგრამ ავსტრიაში დაბადებულ-გაზრდილმა ჰოკეისტმა, როგორც იქნა, დაიწყო მასზე გაცემული ავანსებისა და შარშან გაფორმებული 56-მილიონიანი კონტრაქტის გამართლება. სეზონის სტარტზე ვანეკმა უკვე 7 გოლის გატანა მოასწრო და სნაიპერთა დავასაც ლიდერობს.

მეორე: „მინესოტას“ ფინელ კარის დარაჯ ნიკლას ბექსტრიომს მეორე ვარსკვლავობა ერგო. „ველურებმა“ წინა კვირაში სამი შეხვედრა მოიგეს და სამჯერვე კარებს ფინელი იცავდა. ამ შეხვედრებში ბექსტრიომი საშუალოდ 1,3 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 95,2 პროცენტს იგერიებდა.

მესამე: კვირის მესამე ვარსკვლავი კი „დალასის“ ახალბედა შვედი თავდასხმელი ფაბიან ბრუნსტრიომი გახდა. ამ ბიჭმა სეზონი ქვედა ლიგაში დაიწყო, მაგრამ კვირის შუაგულზე მთავარ გუნდში გამოიძახეს და მანაც სადებიუტო მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა. ბრუნსტრიომი მხოლოდ მესამე ახალბედაა ნჰლ-ის ისტორიაში, რომელმაც თავის პირველ შეხვედრაში სამი შაიბის შეგდება შეძლო — აქამდე ეს შორეულ 1949 წელს მონრეალელმა ალექს სმარტმა და 1979 წელს კვებეკელმა რიელ კლაუტიემ შეძლეს.

**კახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

20 ოქტომბერი

**ლოს ანჯელესი 3:4 კოლორადო**
1:1 1:3 1:0
1:0 მოლერი (7), 1:1 სმიტი (12), 2:1 ოსალივანი (23), 2:2 ჰეიდუკი (25), 2:3 ჯონსი (26), 2:4 სმიტი (37), 3:4 დაუტი (43)

**ბოსტონი 1:2 პიტსბურგი**
0:1 1:0 0:0 0:1 (ოვერტაიმში)
0:1 შატანი (19), 1:1 კესელი (34)

**მონრეალი 3:1 ფლორიდა**
0:0 1:0 2:1
1:0 კოივუ (23), 1:1 ბალარდი (48), 2:1 ბულიონი (51), 3:1 პლეკანეცი (60)

**რეინჯერსი 2:1 დალასი**
1:0 0:1 0:1
1:0 ნესლუნდი (1), 1:1 მოროუ (26), 1:2 მოდანო (49)

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჩეხლი

## E ჯგუფი

**ვილიარეალი 6:3 ოლბორგი**

0:1 საგანოვსკი (19), 1:1 როსი (28), 2:1 კაპდევილა (33), 2:2 ენევოლდსენი (36), 3:2, 4:2 ლიორენტე (67, 70), 4:3 კაპდევილა (77ა.კ.), 5:3 პირესი (79), 6:3 ლიორენტე (84)

ვილიარეალი: ლოპესი, ფუენტესი, გონსალო, კაპდევილა, ანხელ ლოპესი, ედმილსონი (ბრუნო 65), სენა, ფერნანდესი (პირესი 64), კასორლა, ფრანკო (ლიორენტე 46), როსი

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

ოლბორგი: ზაზა, იაკობსენი, ოლფერსი, ბეჟერსენი, ბოგელუნდი, ენევოლდსენი, იოჰანსონი, აგუსტინუსენი, დუბ, კურტი, საგანოვსკი

მწვრთნელი: ბრიუს ლიობი

გაფრთხილება: ბედერსენი

მსაჯი: ფლორიან მაიერი (გერმანია)

22 000 მაყურებელი

**მანჩესტერი 3:0 სელტიკი**

1:0, 2:0 ბერბატოვი (29, 51), 3:0 რუნი (76)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვიდიჩი, ევრა, ოში, ნევილი (ბრაუნი 60), ანდერსონი, ფლეტჩერი, ნანი, რონალდუ (მარკი 82), რუნი, ბერბატოვი (ტევესი 60)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

სელტიკი: ბორუცი, მაკმანუსი, ლოუსი, ნეილორი, ვილსონი, ბრაუნი, კალდველი, ნაკამურა (ჰართლი 62), რობსონი (მელოუნი 62), მაკგრიდი, მაკდონალდი (ვერიდანი 77)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: ჰართლი, ლოვენსი

მსაჯი: ფრანკ დე ბეეკერი (ბელგია)

74 655 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| სელტიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |

## F ჯგუფი

**ბაიერნი 3:0 ფიორენტინა**

1:0 კლოზე (4), 2:0 შვაინშტაიგერი (25), 3:0 ზე რობერტო (90)

ბაიერნი: რენსინგი, დემიკელისი, ლუსიო, ლამი (ლელი 46), ოდო, ზე რობერტო, ვან ბომელი, რიბერი, შვაინშტაიგერი (ბოროვსკი 65), ტონი (პოდოლსკი 57), კლოზე

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

ფიორენტინა: ფრეი, დაინელი, გამბერინი, ვარგასი (კომო 74), ძაური, მელო, მონდოვილო, კუზმანოვიჩი, მუტუ, ჯილარდინო, სანტანა (ოსვალდო 65)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: ოდო, რიბერი, კუზმანოვიჩი, დაინელი, გობი

მსაჯი: ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)

66 000 მაყურებელი

**სტიაუა 3:5 ლიონი**

1:0 არტური (8), 2:0 გოიანი (11), 2:1 კეიტა (23), 2:2 ბენზემა (33), 3:2 პიეტრე (45), 3:3 ფრედი (69), 3:4 ბენზემა (71), 3:5 ფრედი (90)

სტიაუა: ზაპატა, რადოი, გოიანი, მარინი, ოგარარუ, ლოვინი (კაპეტანოსი 82), პეტრე (გოლნგა 57), არტური, მორენო, სემედო (ტონი 65), ნიკოლიტა

მწვრთნელი: მარიუს ლეკუტუში

ლიონი: ლორისი, ბუმსონგი, კრისი, გროსო, რევეიერი, ტულალანი, ჟუნინიო (კალსტრომი 87), მაკუნი, ელმანდერი, ბენზემა (მენეზი 81), კეიტა (ფრედი 67)

მწვრთნელი: კლოდ პიუელი

გაფრთხილება: ნიკოლიტა, ტულალანი

მსაჯი: გრჟეგორიშ გილევსკი (პოლონეთი)

20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ლიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | 5 |
| ფიორენტინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| სტიაუა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

## G ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 2:4 არსენალი**

0:1 ადებაიორი (10), 0:2 ზოლკოტი (11), 1:2 სილვესტრი (19ა.კ.), 1:3 დიაბი (21), 1:4 ბილონგი (69), 2:4 გუჯა (78)

ფენერბაჰჩე: დემირელი, ედუ ლუგანო, რობერტო კარლოსი, გოკჰანი (ილმაზი 80), შაჰინი, მალდონადო (ბილგინი 52), გუჯა, ალექსი, ბორალი, შენტურქი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

არსენალი: ალმუნია, სილვესტრი, სონგი, კლიში, ეჟუე, დენილსონი, ფაბრეგასი, ნასრი, ვოლკოტი (ტურე 84), ადებაიორი (ველა 86), დიაბი (რამსი 73)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: საჰინი, ლუგანო, შენტურქი, სონგი, დიაბი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

49 521 მაყურებელი

**პორტუ 0:1 დინამო**

0:1 ალიევი (27)

პორტუ: ნუნუ, ალვეში, როლანდოს, ლინო, საპუნარუ, ფერნანდეშ (პულკი 46), მეირელეში, ლ. გონსალესი, როდრიგესი (სექტიუი 63), ლოპესი, ჰ. გონსალესი (კოშტა 68)

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

დინამო: ბოგუში, მიხალიკი, დიაკიტე, ნესმაჩნი, ბეტაო, ელ კადური, ეშჩენკო, გუსევი, ბანგურა (მილევსკი 46), ალიევი, ნინკოვიჩი (ასათიანი 83), გომანი (ერემენკო 60)

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: როლანდოს, ნესმაჩნი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

37 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:3 | 7 |
| დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| პორტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |

## H ჯგუფი

**ზენიტი 1:1 ბატე**

0:1 ნეხაიჩიკი (52), 1:1 ტეკე (80)

ზენიტი: მალაფეევი, კრიჟანაცი (დომინგესი 69), შიროკოვი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი, ანიუკოვი, დანი, ზირიანოვი (მოგრებნიაკი 76), დენისოვი, არშავინი, ტეკე

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

ბატე: ვერხოვცოვი, სოსნოვსკი, რადკოვი, ფილიპენკო, ხაგუში, ლიხტაროვიჩი (სივაკოვი 68), ვოლოდკო, როდიონოვი, ბლიზნიუკი, სტასევიჩი (ნეხაიჩიკი 46), კრივეცი (მირჩუკი 85)

მწვრთნელი: ვიქტორ გონჩარენკო

გაფრთხილება: ვერხოვცოვი

მსაჯი: პედრო პროენცა (პორტუგალია)

20 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:1 რეალი**

1:0 დელ პიერო (5), 2:0 ამაური (49), 2:1 ვან ნისტელროი (66)

იუვენტუსი: მანინგერი, კიელინი, ლეგროტალიე (მელბერგი 46), მოლინარო, გრიგერა, მარკიონი (სალიჰამიჯიჩი 38), სისოკო, ნედვედი, მარკიზიო, დელ პიერო, ამაური (იაკვინტა 78)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

რეალი: კასილიასი, კანავარო, პეპე, მარსელო, რამოსი, გაგო, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი (დრენტე 76), რაული, ვან ნისტელროი, იგუაინი (რობინი 54)

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

გაფრთხილება: ამაური

მსაჯი: ვოლფგანგ სტარკი (გერმანია)

25 813 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ბატე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ზენიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

# ლიგის კონსპექტი: 36!



შენტურქმა „ფენერბაჰჩე" ალექსანდრ სონგის „არსენალთან" ვერაფერს გახდა

„სარბიელის" ტრადიცია მოგახსენებათ: ჩემპიონთა ლიგის ყოველი ტურის შემდეგ მკითხველს გასულ სადამს მატჩებისთვის თვალის ერთ გადავლებას ვთავაზობთ, მომდევნო დღეს კი უფრო დეტალურ მიმოხილვას ვექდებით ხოლმე. მაგრამ ახლა, ვფიქრობთ, თვალის ამ ერთი გადავლების კიდევ უფრო კონსპექტურ ვარიანტს უნდა მივმართოთ, რადგან... წუხანდელ რვა შეხვედრაში 36(!) გოლი გავიდა და ჩვენც, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ და მხოლოდ ამ გოლებზე შევჩერდეთ, დრო და გვერდი არ გვეყოფა.

უხვგოლიანობაში ყველაზე ყოჩაღი E ჯგუფი გამოდგა, რომელმაც ხსენებული 36-დან 12 შეაგდო. ძალიან ლამაზი და დრამატული გამოდგა „ვილიარეალის" შეხვედრა დანიის ჩემპიონ „ოლბორგთან", რომელიც ესპანელებმა 6:3 მოიგეს. უნდა ითქვას, რომ დანიელებს თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეცვლაზე შესული ჰეთ თრიკის ავტორის, ხოსებ ლიორენტეს გუნდმა იძალა.

ამავე ჯგუფში გაიმართა ევრეთ წოდებული ბრიტანული დერბი, „მანჩესტერ იუნაიტედი" „სელტიკს" შეხვდა და 3:0 აჯობა. ორი გოლი თბილისიდან მშრალად წასულმა დიმიტარ ბერბატოვმა შეაგდო, მესამე კი უეინ რუნიმ დაამატა, რომელიც, ამ ბოლო დროს, მოგეხსენებათ, ჩინებულ ფორმაშია.

თერთმეტგოლიანი გამოდგა F ჯგუფი, სადაც „ბაიერნმა" „ფიორენტინას" სამი უპასუხო ბურთი გაუტანა. მიუნხენელთა ასეთი წარმატება შეტევაში მათმა ცივსისხლიანმა თამაშმა და დაცვაში ბიდის ღიმილმა განაპირობა. ვერმანელებს ხელი შეეწყოთ იმაშიც, რომ მირონლავ კლოზემ ანგარიში მე-4 წუთზევე გახსნა. მეორე ბასტიან შვაინშტაიგერმა პირველი ტაიმის შუაში შეაგდო, ზე რობერტომ კი მესამე თამაშის სულ ბოლო ამოსუნთქვისას დაამატა.

„ლიონმა" ბუქარესტში „სტიაუას" 5:3 მოუგო. ამ თამაშში ორორი ქარიმ ბენზემამ და ფრედმა შეაგდეს.

გოლების რაოდენობით არა უშავდა G ჯგუფს, სადაც ყმაწვილკაცებით სავსე „არსენალმა" სტამბოლში „ფენერბაჰჩეს" 5:2 სძლია, ხოლო „პორტუმ" შინ კიევის „დინამოსთან" წააგო 0:1.

თურქეთში ლონდონიდან ჩასულმა არსენ ვენგერის მრავალეროვნულმა გუნდმა II წუთში ტაბლოზე უკვე 2:0 დაწერა, შემდეგ კი დანარჩენი ცეცხლი და ნაპერწკალი მიაყოლა, პორტუში კი უკრაინული გუნდის შემადგენლობაში ბოლო 7 წუთი მალხაზ ასათიანმაც ითამაშა.

აი, H ჯგუფმა კი „არ ივარგა". ამ ჯგუფის ორი თამაშიდან ერთი, „საბჭოური გადმონაშთი", „ზენიტი" — „ბატე", 1:1 დასრულდა და იქ, ფათიჰ ტეკეს გვიანი გოლი რომ არა, ბელარუსები სულაც მოიგებდნენ და „იუვე" — „რეალიც" (2:1) რაღაც ძალიან ჰგავდა ფეხბურთს... ნაღდს, ძალიან ძალიან დონისას. თუმცაღა, ეს ძალიან ნაღვლიანი თამაშიც გამოდგა: შვეიცარიაში მცხოვრები იტალიელი ემიგრანტების ტურინსკენ მიმავალი ავტობუსი გადაბრუნდა, ორი გულშემატკივარი დაიღუპა, ოცდაათამდე კი დაშავდა. უბედური შემთხვევა აოსტას რეგიონში, შვეიცარიის საზღვართან ახლოს მოხდა.

**ბაჩუნა კიღია**

## ინგლისი

ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ბარნსლი 2:1 უესნდი | |
| ბირმინგემი 1:0 კრ. პალასი | |
| ბლეკპული 3:2 დერბი | |
| ჩარლტონი 0:2 ბრისტოლი | |
| ქოვენთრი 1:3 ბარნლი | |
| ნორიჩი 5:2 ქუნზი | |
| ნოტინგემი 1:1 იფსვიჩი | |
| პლიმუტი 1:0 პრესტონი | |
| შეფილდი 0:0 საუთჰემპტონი | |
| სუონსი 0:0 ქუინზ პარკი | |
| უოტფორდი 2:2 კარდიფი | |
| რედინგი 2:1 დონკასტერი | |

I ლიგა

| | |
|---|---|
| სკანთორპი 1:1 საუთენდი | |
| როვერსი 2:0 ოლდემი | |
| კოლჩესტერი 1:2 მილუოლი | |
| ჰარტლპული 5:3 ჰადერსფილდი | |
| ჰერეფორდი 1:0 კარლაილი | |
| ლიდსი 2:1 ლეიტონი | |
| ლესტერი 2:2 უოლსოლი | |
| მილტონი 1:2 სტოკპორტი | |
| პიტერბორო 0:0 ბრაიტონი | |
| სუინდონი 2:1 ნორთჰემპტონი | |
| ტრანმერი 2:0 ჩელტენემი | |
| იოვილი 3:2 კრიუ | |

II ლიგა

| | |
|---|---|
| აკრინგტონი 2:1 შრუსბერი | |
| ბარნეტი 1:1 უიკომბი | |
| ბორნმუთი 2:1 დაგენემი | |
| ბრენტფორდი 3:1 მორეკემბი | |
| ბარი 1:2 როტერემი | |
| ჯილინგემი 2:2 ნოტსი | |
| გრიმსბი 2:2 ლუტონი | |
| მაკლსფილდი 1:2 ლინკოლნი | |
| პორტ ვეილი 1:3 ექსეტერი | |
| როჩდეილი 6:1 ჩესტერი | |

## იტალია

სერია B

ბარი 0:3 სასუოლო

რიმინი 2:0 ბრეშა

## ბულგარეთი

A ჯგუფი

პირინი 3:2 სლავია

## სლოვაკეთი

თასი

კოშიცე 1:1 ზლატე მორავცე

დუბნიცა 0:1 რუჟომბეროკი

## უელსი

ლიგის თასი

ბანგორი 1:6 კაერსვი

## უნგრეთი

თასი

მტკ 6:1 კაპოშვარი

დებრეცენი 1:0 ფეჯერვარი

ჰონვედი 3:1 მაკო

## შვედეთი

ალსვენსკა

ელფსბორგი 4:1 ტრელებორგი

## პოლონეთი

II დივიზიონი

გორნიკი 1:1 ზაგლები


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფუთხერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჩენია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქუჩნური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლაშა ძაბარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიანსლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულაძე, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი გამკაძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფიფიაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუჩაშვილი, ბადრი ქუთისაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეჟაშვილი, ლიანა ბებელია, ხათუნა ბუხრიკიძე, მაკა ლოგრიაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქიქნაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00